

მეფემსი

მწყემსმან კეთილმან სული
თვისი დაჰსდგის ცხოვართათვის
იოან. 10—11.

№ 17—18

1883—1910 წ.

2 დეკემბერი

შ ი ნ ა ა რ ს ი.

სალიტერატურო განმარტება: გარდ ცვალება გრაფ ლ. ნ. ტოლსტოისა. — გაზეთების ცნობები გრაფ ტოლსტოის გარდაცვალებაზე. — გრაფის პატივის მცემელთა როგორ ასრულეს მისი დაბარება და ანდერძის? — სახელმწიფო სათათბირო როგორი პატივი სცა გრაფ ლ. ნ. ტოლსტოის ხსოვნას? — სახელმწიფო სათათბირო. — ქართველ სტუდენტთა ცხოვრებიდან თვითნებობა თუ გაუგებრობა პეტერბურგელ სტიპენდიანტების წერილი უყურადღებოდ არ უნდა იქნეს დატოვებული. — ღია წერილი მ. სიმონ მკედლიძეს — საზარელი დრამა. — ტფ. ვაჟა პირველ გიმნაზიაში. — შწარე ფიქრები. — (გაგრძელება.) — რამდენი უჯდება ტუსაღები მართებლობას. — ქართველ საზოგადოების საყურადღებოდ — როგორი მასწავლებლები გვყავს პირველ დაწყებით სკოლებში. — ახალი ამბები და შენიშვნები. — განცხადებანი.

გარდაცვალება გრაფ ლ. ნ. ტოლსტოისა.

რიაზანის და ურალის რკინის გზის სადგურ ასტაპოვში 7 ნოემბერს დილის 6 საათზე გარდაიცვალა ლ. ნ. ტოლსტოი. მეუღლე გარდაცვალებულისა, როგორც ეტყობა, შეწუხებულია, რომ მისი ქმარი მოუწინააღმდეგებლათ გარდაიცვალა. ამბობენ, რომ გრაფინია სოფიო ანდრიას ასული შეწუხებული კითხულობდა „შეუსრულებენ, თუ არა, პანაშვიდს?“ ეს ცხადათ ამკიცებს — მას ძლიერ სურდა, რომ შესრულებულიყო ეკლესიურად დამარხვა.

ხმებია, რომ გრაფთან მისული იგუმენი მ. ვარსონოფი არ იყო მიშვებული მომაკვდავთან, ხოლო მეუღლე გრაფ ტოლსტოისა იყო შეშვებული ქმართან მხოლოდ მაშინ, როცა მომაკვდავს ცნობა აღარ ჰქონდა.

(„რუს. სტ.“)

გაზეთების ცნობები გრაფ ტოლსტოის გარდაცვალებაზე.

მილიონ ხალხზე ნათქვამი სიტყვები ტოლსტოის უკანასკნელი გარკვეული სიტყვები იყო, მე-

რე გაუგებარ ბოდვას მოჰყვა. გაბანვის შემდეგ, განსვენებულს მისი ჩვეულებრივი ტანისამოსი და ფლოსტები ჩააცვეს. უკანასკნელ წუთამდე თვალი სინათლეს არ აცვდა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ გონება ნათელი შერჩა.

ასტაპოვო. სკოლის ეკლესიაში გადახდილ წირვას განსვენებულის ქვრივი დაესწრო. ხვალ ჩამოვა მოქანდაკე გინზბერგი და განსვენებულის სახის მასკას აიღებს. ჩამოვიდა და უკანვე დაბრუნდა კალუგის ეპისკოპოსი პართენი. ამბობენ, ტოლსტოიმ მოისურვა „იასნაია პოლიანაში“ იმ ბორცვზე დამასაფლავეთ, სადაც ბავშვობაში ვთამაშობდი ხოლმეო. განსვენებულის გვამს ხვალ ნაშუადღევს 3 საათზე მატარებლით „იასნაია პოლიანაში“ წაასვენებენ. დღეს აუარებელი ხალხი ჩამოვიდა. სადგურზე გუბერნატორი და გზათა უფროსი არიან. სრული წესიერებაა.

ტოლსტოის გვამს ზეწარი აფარია. სახე არ შეცვლია. განსვენებულმა მოასწრო იმის თქმა, რომ წესს ნუ ამიგებთ, უბრალოდ, უგვირგვინოდ და უყვავილოდ დამასაფლავეთო. განსვენებულის გვამს გორბაჩევიწესე გაატარებენ.

9 ს. 40 წ. განსვენებულ ტოლსტოის გვამთან ხალხს უშვებენ. თავით ქვრივი უზის. განსვენებულის მეგობრებმა საკითხი აღძრეს, რომ ის პატარა



სახლი, სადაც ტოლსტოი გარდაიცვალა, ეროვნულ საკუთრებად შეიძინონ. სამგლოვიარო მატარებელი ორის სამგზავრო ვაგონისა და ერთის საბარგო ვაგონისაგან შესდგება, სადაც განსვენებულის კუბოს მოათავსებენ. განზრახულ პანაშვილს გადახდა ვერ მოხერხდა.

სამშაბათს, დილის 8 საათზე, განსვენებულის გვამს სადგურ ზისეკაზე მიასვენებენ და იმავე დღეს „იასნაია პოლიანაში“ დაასაფლავებენ.

ფოტოგრაფისტებს ლოგინში მწოლარე განსვენებულის სურათის გადაღების ნება მისცეს. მიკვალბულის ოთახში შეკრებილმა საზოგადოებამ განსასვენებელი უვალობა.

განსვენებულის ქვრივს აუარებელი სამძიმრის დეპეშები მოსდის. სხვა და სხვა პირთა და საზოგადოებათ გვირგვინებით შემამკეს.

განსვენებულის გვამში გახრწნის წინააღმდეგი ნიეთიერებანი ჩაასხეს.

სახელმწიფო საბჭო.

გაიხსნა თუ არა სხდომა, (ვკითხულობთ ერთ რუსულ გაზეთში) სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შემდეგი: 7 ამ მიმდინარე ნომბერს გარდაიცვალა გრაფი ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი. ნურაფერს ვიტყვით მის თხზულებაზე რელიგიის და პოლიტიკის შესახებ, რომელთაც გამოიწვიეს ეკლესიის მხრით ფიცხელი სასჯელი. არ შეუძლია უარს სთქვას, რომ სხვა მისი თხზულებანი უკვდავთ ყოფენ განსვენებულს და გახადეს იგი მსოფლიო დიდებულ და გენიოსურ მწერლათ. რუსეთი, როგორც გრაფ ტოლსტოის სამშობლო, სხვა ქვეყნებზე უმეტესად უნდა გრძნობდეს თავის გენიოსის დაკარგვას. ხელმწიფე იმპერატორისაგან დაწერილ უქვეშემრდომილეს მოხსენებაზე გრაფის გარდაცვალების შესახებ სიტყვებიდანაც ცხადათ ჩანს ღრმა მწუხარება დიდებული მწერლის სიკვდილისა გამო.

ჯერეთ კიდევ დრო არაა ბაასისა გრაფის ნებითა და უნებლიეთ შეცდომაზე. თავმჯდომარემ წინადადება მისცა სახელმწიფო საბჭოს ფებზე ადგომით პატივი ეცათ განსვენებულისათვის. ეს წინადადება იყო მიღებული და განსვენებულის ხსოვნას სცეს პატივი.

შემდეგ სახელმწიფო საბჭო შეუდგა კანონ პროექტის განხილვას ზოგიერთ პოლიტიკურ და მოქალაქობრივ უფლებათა გაუქმებისას დაკავშირებულით სამღვდლო ხარისხის ახდისა და თავისნებით მღვდლობის ხარისხის წოდების დატოვების შესახებ.

(„სასოფ. გაზ.“ № 256, 1910 წ.)

რუსეთის გამოჩენილი და განთქმული სახელოვანი მწერალი, გრაფი ლევი ნიკოლოზის ძე ტოლსტოი გარდაიცვალა 82 წლის თუმცა მრავალი წიგნები გამოუცია თავის გასაცნობათ და მრავალი უმატადრნიათ მის თავყანის მცემლებს, რომ მისი სწავლა—მოძღვრება გაეგებიანებათ ხალხისთვის, მაგრამ ხალხის უმეტესმა ნაწილმა კიდევ არ იცის, რა კაცი იყო გრაფი ტოლსტოი და მისი სწავლა მოძღვრება. ამისთვის საჭიროთ ვრაცთ გავაცნოთ ჩვენ ისეთ მკითხველებს, რომელთაც კარგად არ იციან ვინ იყო გრაფი ტოლსტოი და როგორი იყო მისი სწავლა—მოძღვრება სარწმუნოების შესახებ.

ლევ ტოლსტოი დაიბადა 1828 წელს, 28 აგვისოს, ტულის გუბერნიაში კრაპიენსკის მაზრის პატარა სოფელს „იასნაია პოლიანა“ში, სადაც საგვარეულო მამული ჰქონდა. მამა ტოლსტოისა პოდპოლკოვნიკი ნიკოლოზ ილიას ძე და დედა მარიამ ნიკოლოზის ასული, ვოლკონსკის ქალი, მალე გარდაიცვალნენ და 10 წლისა იყო ტოლსტოი, რომ მისი აღზრდა იკისრა მახლობელმა ნათესავმა ქალმა და ბოლოს მისმა დამ გრაფინიამ ოსტენ-საკენისამ წაიყვანა 1840 წელს. 1843 წელს ტოლსტოი ყაზანის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტში შევიდა და ერთის წლის შემდეგ იურიდულ ფაკულტეტზე გადავიდა, მაგრამ მეორე კურსიდან უნივერსიტეტს თავი მიანება და გაემგზავრა იასნაია პოლიანაში, სადაც დატყო 1851 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში მან საკანდიტატო ეგზამენი დაიჭირა პეტერბურგის უნივერსიტეტში და შემდეგ კავკასიაში გამოემგზავრა თავის ძმასთან. ტოლსტოი იმდენად გაიტაცა კავკასიის მშვენიერმა და ხელუხლებელმა ბუნებამ და ხალხმა, რომ გადასწყვიტა შესვლა საარტილერიო ბრიგადაში, რომელიც თერგზე იყო დაბანაკებული, „სტაროლოტოვსკის“ სტანიცაში. კავკასიაში პირველად მომწიფდა და განვითარდა ტოლსტოის ნიჭი და შემოქმედება,



რომელმაც ამ მწერალს მსოფლიო სახელი მოუპოვა. 1852 წ. „სოვრემენნიკში“ დაიბეჭდა პირველად მისი ნაწარმოები „ბავშვობა“ „თავ დასხმა“ „სიყრმიე“ „მემამულის დედა“ და ბოლოს „ყაზახი“, ამ მოთხრობებით თავის ორიგინალობით უცებ საყოველთაო ყურადღება მიიქცია. აღმოსავლეთის ომის დაწყებისას ტოლსტოი გადავიდა დუნაის ჯარში, მონაწილეობა მიიღო 1854 წლის კომპანიაში და შემდეგ გადავიდა სევასტოპოლში, სადაც მონაწილეობა მიიღო ქალაქის დაცვაში. 1856 წელს ტოლსტოი სამთო დივიზიონის უფროსად იყო და მონაწილეობა მიიღო შავს მდინარესთან მომხდარა ბრძოლაში. აქ მან დასწერა სევასტოპოლის „ამბები“, რომელსაც იმ ხანად დიდი სახელი გაუარდა იმის გამო, რომ მოთხრობა დაწერილი იყო რეალურად და ზედ მიწვევით მხატვრულადაც აღწერილი იყო ამ ომიანიობის სურათები.

1856 წელს ტოლსტოიმ სამსახურს თავი მიანება და პეტერბურგს გაემგზავრა, სადაც დიდისა აღტაცებით მიეგებნენ მაშინდელი ცნობილი ლიტერატორები: ნეკრასოვი, გრიგოროვიჩი, ტურგენევი, გონჩაროვი და სხვანი, და აგრძევე მაშინდელი უმაღლესი წრეებიც. ტოლსტოის ამ ჟამად უკვე ჰქონდა დიდის მხატვარის სახელი გავარდნილი და ბევრს რამესაც მოელოდნენ მისგან, მით უფრო რომ იმ ხანად რუსეთში დაიწყო ახალი ლიბერალური მიმდინარეობა. მოლოდინის წინააღმდეგ ტოლსტოი არ დაუახლოვდა მაშინდელს მოწინავე მწერლებს. მისი ბუნება უფრო სხვანაირი, თავისებური აყო და სრულიად არ ეთანხმებოდა მაშინდელს მსოფლმხედველობას.

1857—59 წლამდე ტოლსტოიმ იმოგზაურა გერმანიასა, საფრანგეთსა და იტალიაში იქაურ სკოლებისა და სწავლის მეთოდების შესასწავლად. ამასთანავე ათვალიერებდა ციხეებს, საქველ-მოქმედო დაწესებულებათ, სხვა და სხვა კავშირს და ეცნობოდა შესანიშნავს კაცებს. ამ მოგზაურობის შედეგი ჯერ მოჰყვა მოთხრობის: „ლიუცერნ“-ის დაწერა და შემდეგ პედაგოგიურ ჟურნალის „იასნაია ჰოლიანას“ გამოცემაც, რომელშიაც მეტად ცხადად და სასტიკად აცხადებდა თავის ექვს თანამედროვე პროგრესის გამო, რომელსაც ცივილიზაციის სახით სარჩულად უდევს გულცივობა, ფარისევლობა და დაჩაგვრა.

1861 წელს ტოლსტოი საბოლოოდ დასახლდა თავის მამულში, მომრიგებელ შუამავლად დადგა და დაარსა მეტად ორიგინალური სასწავლებელი, სადაც მოსწავლეთა აღზრდას საფუძვლად დაუდო კაცთმოყვარეობა და ძალდაუტანლობა. აქ ტოლსტოი ნელ-ნელა ჩამოშორდა საზოგადოებრივ ცხოვრების ხმაურობას და დააკვირდა სოფლის მდგომარეობასა და ხალხის ფსიხიკის ზედ მიწვევით შესწავლას. იგი მხნედ შეუდგა მხატვრულ მუშაობასა და დაიწყო უკვდავი ნაწარმოები „ომი და ზაფი“, დაასრულა 1869 წ.), რომელმაც გააკვირვა ქვეყნიერება, როგორც მხატვრულის ძლიერებით, ისე ინდივიდუალურობითა და ხალხის ფსიხიკის ღრმა ანალიზით. 1874 წელს ტოლსტოიმ დაბეჭდა თავის ახალი რომანი „ანნა კარენინა“, რომელშიაც თანამედროვე საზოგადოებას ასწერს. ტოლსტოი არ დაკმაყოფილდა ამითი და დასწერა რამდენიმე ტრაქტატები: „აღსარება“, „როგორია ჩემი სარწმუნოება“, „რა უნდა გავაკეთოთ“, „რაშია ბედნიერება“ და სხვა. ამ წერილებით რუსეთსა და ევროპაში აღძრა საკითხი სარწმუნოებისა, მეცნიერებისა, ცივილიზაციისა, ქრისტიანობისა, ქორწინებისა, სიყვარულისა, თავისუფლებისა, შრომისა და სხვათა შესახებ. ტოლსტოიმ ჩქარა მიიქცია საყოველთაო ყურადღება უფრო იმით, რომ თავის იდეების გატაცების დროს იჩენდა სრულს გულწრფელობას, სიღრმესა და ძლიერებას ხმარობდა.

ამ ხანში ტოლსტოიმ თავი მიანება ობიექტივურს მხატვრობას და ფილოსოფიურ დე თეოლოგიურ თხზულებათა შესწავლას მიჰყო ხელი. მისწავლა ბერძნული და ებრაული ენები, გაეცნო აღმოსავლეთის ბრძენთა ბუდასა და კონფუციის იდეებს-და ყველგან ეძებდა თავის შეხედულებათა დამამტკიცებელ საბუთებს. მისი შემოქმედება ძალიან ნაკლებ უბრუნდებოდა მხატვრობას. დასწერა მან ამ ხანებში: „ივანე ილიას ძის სიკვდილი“, „მეუფეობა წყვილიადისა“, „კრეციერის სონატა“, „განათლების ნაყოფი“ და სხვა მრავალი წერილები და წიგნაკები.

თავდა პირველად ცოტა ექვის თვლით დაუწყეს ყურება გრაფ ტოლსტოის მიმართულებას, განსაკუთრებით მის რწმენას. ერთ დროს მართებლობისაგან აღკრძალვა გამოცხადდა მისი ნაწერების კითხვისა. მაგრამ შემდეგ სასულიერო მართებლობა-

ბამ ნება დართო მისი ნაწერების და წიგნაკების კითხვას. ეს მოხდა განსაკუთრებით მაშინ, როცა გრაფი თვითონ სასწავლებელში მასწავლებლად იყო - ამ დროს მან დასწერა მშვენიერი წერილი დაბადების სწავლების შესახებ სასწავლებლებში. ტოლსტოი ამბობდა, რომ არ მოინახება ისეთი მშვენიერი სასწავლო ზნეობითი აღმზრდელი წიგნი, რო.ორაც არის დაბადებაო. შემდეგ გამოსცა „ჩემი აღსარება“ „რამდენია საკირო კაცისათვის?“ „მკვლარ ცოცხალი“ „ჩემი სარწმუნოება“ და სხვა მრავალი ზნეობრივი შინაარსის საკითხავი წიგნაკები.

გაიარა კარგა ხანმა და გრაფ ტოლსტოიმ სრულებით შეიცვალა აზრი და მიმართულება. უარჯყო თავის წინანდელი აღსა-ება და რწმენა და სულ სხვანაირ ქადაგებას დაადგა, განსაკუთრებით სახარების მცნების შესახებ.

ხშირად იტყვიან ხოლმე ლევ ტოლსტოი ფილოსოფოსი არიო. განა დიოგენი ფილოსოფოსი არ იყო? მაგრამ მისი ზოგიერთი ქადაგება საოცარი არ იყო? რამდენი იშრომა და რამდენი იქადაგა, რომ სასახლეების მაგიერ ხალხს ბოჭკები მოეწყობოთ და იოლათ წასულიყვნენ. რამდენს უმტკიანებდა ხალხს, რომ თევზი უმათ ექამათ და არა შემწვარი და მოხარშული. როდესაც შეადარებთ გრაფ ტოლსტოის ძველი დროის ფილოსოფოსებთან, თქვენ გაკვირვებს ძველი ფილოსოფოსების გულწრფელობა და, სამწუხაროდ, ამას ვერ ამჩნევთ გრაფ ტოლსტოის. ბევრი მისი მოქმედება გაკვირვებს და ვერ აგინხნია.

გრაფი მიდის ერთ ბებერ ქალთან, რომ ბუხარი გაუკეთოს მას. იბარებს სახლში, რომ თუ მასთან მოვიდეს ვინმე, უთხრან, რომ ამა და ამ დედაკაცის სახლში მივიდენ მის სანახავად. როცა მიდიან მნახველები გრაფი ბოდის ითხოვს, რომ ხელს ვერ ართმევს მათ, რადგან ალიზით ხელები გასვრილი აქვს. გრაფს, ხედვენ, რომ ბუხარს უკეთებს ქალს და დიდათ უკვირთ! ნუ თუ გრაფს არ შეეძლონ—10 მანეთი გაეგზავნა დედაკაცისათვის?! ერთ დროს გრაფმა გლეხებს თავი აარჩევინა ძროხების მწყემსად, მაგრამ მალე გამოაცვლევინეს დედაკაცებმა, რადგან სანამ არ აღებოდა გრაფი ძროხები საჩინებში იყვნენ დამწყვდეულნი თერთმეტ სა-

ათამდისინ და ამით რძის წველა მოიკლეს. ნუ თუ ეს ფილოსოფიური ახირება არ არის?

ვადათვალიერეთ გრაფის სურვილი, რამდენ-გვარად არის იგი დახატული? დახატულია, როცა ხნავს დახატულია, როცა ფარცხავს, დახატულია, როცა მკის, როცა შეშას ხერხავს, როცა თევზს იჭერს. ერთი სიტყვით ყოველ გვარად არის გადამტეხილი ფოტოგრაფიით; დადს გლეხის ტანისამოსში გულმოდიავებული, გლეხის წაღებში. ყველამ კარგად კიცის, რომ გრაფ ტოლსტოი არც ხნავდა, არც ფარცხავდა, არც თიბავდა და არც გლეხურად ლარიბად იმოსებოდა. რას უნდა მივაწყროთ ესეთი სურვილი გრაფ ტოლსტოისა?..

გრაფ ტოლსტოის მიმდევრებმა და თაყვანის მცემლებმა ხომ სულ გააქარვეს საქმე. ბევრად გადააქარბეს ზოგიერთი აზრის ახირებულობაში თვითონ თავის მასწავლებლებს. აქაო და იცოდეთ ყველამ ჩვენ გრაფის სწავლის მიმდევარი ვართო და თავი აღარ დაიზოგეს, პირდაპირ სკანკებს დაემსგავსენ. ჩვენ ვიცნობდით ერთ რუსს, რომელიც გრაფის სწავლის მიმდევრად და მოწაფედ რაცხდა თავის თავს. ეს კაცი მაღალი სწავლის მიმდებნი იყო. კარგი ოჯახის ქალი შეირთო და ორპირიის ახლოს სცხოვრობდა. ჩაცმული იყო სულ უბრალო მუშასავით. გაუხდა ერთ დროს შვილი მუცელათი. დიდის დავის დარაბით დასთანხმდა ექიმის მოყვანაზე, როცა ექიმმა ნახა ბავშვი და სხვათა შორის ურჩია ქათმის ბულიონის მიცემა, ქმარმა ხმა მალლად განაცხადა, რომ არაფრის გულისხამვის არ მოსპობს ქათმის სიცოცხლეს მისი ბავშვის სიცოცხლის გულისხამვის. რათ უნდა მოისპოს ერთი ცხოველის სიცოცხლე, მეორე სიცოცხლის გაგრძელებისათვის? ბავშვი გარდაეცვალათ და ოჯახიც დაინგრა. ცოლმა ქმარი მიატოვა და თავის ნათესავებთან წავიდა. ქმარი დღე და ღამე მუშაობდა რემინგტონზე და დიდი წიგნი გამოსცა, რომელშიაც გაატარა ის აზრი, რომ სალდათათ არაფერ არ უნდა წავიდესო... ჯარები ყველანი უნდა დაითხოვონო, ხორცს არ ჭამდა, თუმცა გრაფი ამ დროს ხორცს კარგად მიირთმევდა.

როდესაც გრაფ ტოლსტოისაგან ზოგიერთ ახირებულ კითხვების შესახებ შეგვხდებოთ ლაპარაკი და დავა ზოგიერთ გატაცებულ პირებთან ისინი გაცხარებით დაგიწყებენ დამტკიცებას, რომ



კაცმა კაცი არ უნდა გაიმეტოს მოსაკლავად, კაცის მოძულა ღვთისა და ბუნების წინააღმდეგაა და დაგიმტკიცებენ, რომ გრაფ ტოლსტოი მართალია. აი რა უნდა უთხრათ ჩვენ ამისთანა გატაცებულ პირებს. ის აზრი, რომ კაცმა კაცი არ უნდა მოკლას, სანამ გრაფი დაიბადებოდა, მანამდინაც კარგად იცოდნენ და ეხლაც ყველამ კარგად იცის. მაგრამ საქმე ის არის, როგორ მოიყვანოს სახელმწიფომ სისრულეში ეს და ისიც მართა რუსეთმა. ვსთქვათ რუსეთმა მთლად დაითხოვა ჯარი, დაუფიქრდით კარგათ, რა შედეგი მოყვება ამას? როგორ ფიქრობთ, სათათრეთი და საცოდავი სპარსეთი სამძღვარს არ გადმოსცილდებიან? და თვითონ ჩვენ ძველ საქართველოში მცხოვრებნი თათრები ხმას არ ამოიღებენ? თათრებმაც, რომ ხმა არ ამოიღონ, ჩვენი კაცების მტაცებელნი ხმას აღარავის გასცემენ? თუ ამას ფიქრობს ვინმე ძლიერ მოტყუებულთა. როცა ცხადათ დაუმტკიცებ გრაფ ტოლსტოის ბრმა მიმდევართა ზოგიერთ გრაფის მოსახზრებათა აღუსრულებლობას ეხლანდელ დროში იმ დროში, როცა ყველგან სახელმწიფოები ხალხის გასაყლევტ იარაღებზე გაცილებით მეტს ხარჯავენ, ვინემ კაცობრიობის სხვა საქიროებისათვის მაშინ გეტყვიან: ტოლსტოი მთელი ქვეყნის მასწავლებელი და ახალი მოძვარი და მქადაგებელია. დღეს გრაფ ტოლსტოი ისეთ რამე უცხო მოძღვრებას ჰქადაგებს, რომელზედაც არც ქრისტეს უთქვამს და არც არავის ქვეყნის შესანიშნავ მქადაგებელთაო. ამას ლაპარაკობენ და ჰქადაგებენ ისეთი „განათლებული“ პირები, რომელთაც საღმრთო წერილის შინაარსი და სახარების მოძღვრება იმდენად გაეგება, რამდენადაც ვიცით მე და შენ, მკითხველო, ჩინური ენა.

აიღეთ პატარა წიგნაკი გრაფ ტოლსტოისა სათაურით: **რასი მდგომარეობის ჭეშმარიტი სიყვარული?** დიდის ქაბან, წყვეტით ამტკიცებს გრაფი, თუ რაში მთგომარეობს ჭეშმარიტი სიყვართლი. თუ კაცს ქალი უყვარს, ამბობს იგი, მხოლოდ იმიტომ, რომ დიდი მზითვევი აქვს ეს ჭეშმარიტი სიყვარულობა არ არისო. მწერალი თუ თავის ცხოვრებას არ ზოგავს შრომისთვის იმ აზრით, რომ დაწერილი წიგნებიდან ბევრი ფული აიღოს, რა კარგი შინაარსის წიგნებიც უნდა დასწეროს მან, ეს არ არის ჭეშმარიტი მოღვაწეო. თუ თავის სიცოცხ-

ლეს იმოკლებს მწერლობით და ამ მწერლობით ის არაფერ ნივთიერ სასყიდელს არ მოელის, მაშინ ამისთანა კაცის მოღვაწეობა გამოწვეულია ხალხისადმი ჭეშმარიტი სიყვარულისაგან და სხვ.

ეს პატარა წიგნაკი იყიდებოდა ექვს შაურად. ვისაც ერთჯერ მაინც წაუკითხავს სამოციქულოს წიგნი და სახარება, იმას კარგად ეხსომება თუ რა მშვენიერად არის ახსნილი და განმარტებული, თუ რაში მდგომარეობს ჭეშმარიტი სიყვარულობა. ვერასოდეს ვერ დასწერს ისე მშვენიერად გრაფ ტოლსტოიამ კითხვის აღხსნას: **რასი მდგომარეობის ჭეშმარიტი სიყვარულია, როგორც ეს არის დაწერილი საღმრთო წერილში მდაბიურად და გასაგონი ენით.** ამ პატარა წიგნში არსად არ იხსენიებს გრაფ ტოლსტოი საღმრთო წერილის სწავლამოძღვრებას ჭეშმარიტი სიყვარულობის შესახებ... რატომ? იმიტომ, რომ ყველამ იფიქროს ჭეშმარიტ სიყვარულობაზე გრაფმა დასწერა, თორემ სხვასკრინტი არ დაუძრავს!

არავინ იფიქროს ის, რომ ჩვენ გრაფი ტოლსტოი შესანიშნავ კაცად არ მიგვიანდეს და დიდ მწერლად არ აღვიარებდეთ, მაგრამ იმას ვერ ვიტყვით, რომ მისი ყველა სწავლა მოძღვრება შეუტდომელი დოღმატების მსგავსი რამ იყოს. ვარწუნებთ ყველას, რომ ასი წლის შემდეგ უარ ყოფილი იქნება ბევრი მისი ღღევანდელი ახალი აზრები და მისი სწავლა მოძღვრებანი განსაკუთრებით სარწმუნოების შესახებ. გრაფი სარწმუნოების კითხვებში დაიბნა ამ ბოლო დროს, თორემ წინეთსულ სხვა აზრის იყო იგი. ესეთი შეცდომები ბევრს ჩაუდენია ტოლსტოიზედ მეტ ბრძენებსაც და გასაკვირველი არ არის, ვინაიღგან მეთევზურნი ბრძნად გამოხსდნენ და ბრძენნი კი სულელთა...

დიდი დავა და ლაპარაკი არის ხალხში გრაფ ტოლსტოის ეკლესიიდან გარიცხვის. გამო, „არ უნდა დაეწყველათ ისეთი მოღვაწე კაცი და არ უნდა შეეწვენებიათო“. ასე ესმის ხალხს ეკლესიიდან გარიცხვა! ხალხმა არ იცის, რომ გრაფმა თვითონ გაირიცხა თავი თავის მიმართულეებით ეკლესიის წინააღმდეგ. როგორც ვვახსოვს გრაფინია წერილს იწერებოდა ერთ დროს და ამბობდა, რომ რამდენიც უნდა აკრძალვით ქრისტიანულად დამრხვა, მე მაინც ვიზოვი მღვდელს და ქრისტიანულად

აუსრულებ ყოველივე წესსო. გასაოცარია სწორედ ესეთი წერილი ტოლსტოის მეუღლისა!..

ეს წერილი უნებლიეთ მაგონებს ერთ ახირებულ ძველ შემთხვევას. აგერ წინეთ 1844 წელში პარიზში გარდაიცვალა შესამჩნევი მწერალი. ამ მწერალმა დასტოვა ესეთი ანდერძი. ღმერთი მრწამს, მაგრამ პატრს ნუ გამაყოლებთო. ყველა სახელმწიფოდან და ქალაქებიდან თანაგრძნობის და პატივსაცემის ტელეგრამები გაიგზავნა. ბაქოდან ერთმა მართლმადიდებელმა მღვდელმა სთხოვა ექსარხოსს ნება მიეცა მისთვის ამ კაცის სულის მოსახსენებლად წირვა და პანაშვიდის შესრულებისა. ექსარხოსმა ამ მღვდელს მისწერა შესაფერისი პასუხი და აგრძნობინა მისი უცოდინარობა...

გრაფის პატივის მემკვიდრე რაგორ აასრულეს მისი დაბარება და ანდერძი?

სხვათა შორის ერთი უცხოელი მწერალი ამბობს: გრაფ ტოლსტოი სწავლა მოძღვრებას ნიადავი არ ჰქონდა საზოგადოებაშიო. ეს მტკიცდება მით, რომ მისივე ოჯახში მისმა ქადაგებამ ვერ მოიპოვა ნიადავიო, თვითონ გრაფის ოჯახში არ მიიღეს მისი მოძღვრებაო. თუ მართლა გრაფის სწავლა-მოძღვრებამ ვერ იქონია გავლენა თავისივე ოჯახში, რათ უნდა დაემდურონ საზოგადოებას, რომ იგი არ ასრულებს ყველა მის მოძღვრებას...

წარმოიდგინეთ, რომ გრაფის პატივის მემკვიდრეც არ ასრულებს გრაფის სიტყვა და ანდერძი. იმან დაიბარა ნუ ამისრულებთ ერთ რამესო, არა ვითარი ყურადღება ამ დაბარებას არ მიაქციეს, მისდა უნებურად მას აუსრულეს იგი ზოგიერთ ადგილას!..

გაზეთებში ვკითხულობთ ერთ ახირებულ ამბავს. მოგვყავს სიტყვა სიტყვით.

ნევის ზრახვექტი (სომხების ეკლესიასთან).

ყველა მართლმადიდებელთა ეკლესიაში პანაშვიდი აკრძალა უწმინდესმა სინოდმა. მხოლოდ იქ შეიძლება მისი გადახდა, სადაც ტოლსტოის განდევნა ეკლესიიდან სავალდებულო არ არის და სარწმუნოება ნებას აძლევს. ასეთ ეკლესიად ამ შემთხვე-

ვაში სომეხ გრიგორიანთა საყდარია ნევის პროსპექტზე. ამ საყდართან აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. სჭარბობდა სტუდენტობა, საერთოდ მოსწავლე ანალგაზდობა. მალე გავლაც შეუძლებელი გახდა, იმდენი ხალხი მოგროვდა. პოლიციამ საშუალოდ დაინახა ასეთი თავის მოყრა და წინადადება მისცა შეკრებილთ დაშლილიყვნენ. საქმე მათრახამდის მივიდა. ხალხი ისევ ისე ჩვეულებრივად, ჩუმიდ შეხვდა პოლიციას და ჩუმიდვე დაიშალა. თითქოს მისთვის ამ დღეებში არაფერი არსებობს გარდა ტოლსტოის სახელისა, რომელსაც არ შეუძლებს ჩვეულებრივ მოქმედებით. ამის შემდეგ სტუდენტობამ თავი სასადილოში მოიყარა და უნდოდათ კრების გამართვა, მაგრამ სასადილოს გამგე სტუდენტთა კომიტეტის თხოვნით დაიშალნენ, პოლიციამ გაიგო ასეთი სურვილის არსებობა და სასადილო 4 საათზე დაკეტა. სტუდენტები გამოვიდნენ მოედანზე და არ იშლებოდნენ. აქაც გაჩნდნენ უცებ ცხენოსანი პოლიციელები და სთხოვეს სტუდენტებს დაშლილიყვნენ. ერთი მოზდილი ნაწილი უნივერსიტეტის ეზოში შევიდა გალობით, ქუდ-მოხდილი. პოლიციელებმა დროზე შეუშალეს ხელი ყველას ეზოში შეგროვებას და კარებში გაჩერდნენ. დანარჩენი ნაწილი მალე დაიშალა, ისევ ისე ღინჯად, აუღელვებლად და ჩუმიდ. მოედანი მალე დაცალიერდა. „სახალ. გაზ.“

როგორც სჩანს სომხების ეკლესიაში შეუსრულებიან პანაშვიდი გრაფ ტოლსტოის სულის მოსახსენებლად. თავისებურად სომხებსაც შეეძლო პატივი ეცათ გრაფ ტოლსტოისათვის, მაგრამ პანაშვიდის გარდახდის კი რა მოგახსენოთ. ქრისტეს ეკლესიის კანონით ეს შეუძლებელია, თუ კაცს სომხის სარწმუნოება არ მიუღია სიცოცხლეში. დიად, სწორეთ სამწუხარო ამბები გესმის ამ დიდებული კაცის დამარხვის შესახებ. ნუ თუ სტუდენტებს ეს არ ესმისთ. ესეთი საქციელით იგინი შეურაცხყოფენ ტოლსტოის ხსენებას, და არა პატივსაცემენ...

ჩვენ იმედი გვაქვს, ამის შემდეგ აღმოჩნდება პირები, რომელთაც უნდა განიხილონ გრაფ ტოლსტოის მწერლობა შესახებ სარწმუნოებისა და ქრისტეს ეკლესიისა. არავინ არ უნდა იშიშვოდეს, რომ რაც უნდა ითქვას დღევანდელი დროის ქრის-

ტიანობის სარწმუნოებაზე ამით სარწმუნება დასუსტდეს, წინააღმდეგ უფრო ამაღლდება და განმტკიცდება იგი. ვეცხლი რამდენჯერ მეტათ გადადულდება უფრო წმიდა და ხალასი დარჩება. 1910 წელიწადი დრო ქრისტიანობის არსებობისა საკმაო დროა ქრისტიანობის ქეშმარიტების დასამტკიცებლად თუ კაცი შეადარებს ხალხთა ძველ ცხოვრებას ახალ ცხოვრებასთან. ჩვენ გვაქვს სახეში ზნეობრივი მდგომარეობა ხალხისა და არა მარტო გონებრივი.

დკკ. დ. დამაშიძე.

**სახელმწიფო სათათბიროს რეზოლუციის კაბინეტი
სა ბაზა ლ. ნ. ტოლსტოის ხსოვნას.**

გუბერნი თავმჯდომარეობს და აცხადებს: ბატონებო! გუშინ გარდაიცვალა ჩვენი ამხანაგი, სათათბიროს დეპუტატი (სარატოვის გუბერნიიდან) მამა ზლატომარეუვეი; წინადადებას გაძღვეთ ფეხზე აღდგომით პატივისცემთ მის ხსოვნას. ყველანი სდგებიან.

ამის შემდეგ თავმჯდომარე სათათბიროს მიმართავს: ჩვენს სამშობლოს დიდი მწუხარება ეწვია: გრაფი ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი, დიდებული მოაზრე და ხელოვანი, — რუსეთის სიამაყე გენიოსი და მთელის კაცობრიობის დიდება გარდაიცვალა. და, ყოვლად მოწყალე ღმერთმა, დაამკვიდროს იგი სასუფეველსა შინა თვისსა. წინადადებას გაძღვეთ მის ხსოვნას ფეხზე აღდგომით პატივი სცემთ და ჩვენის უღრმეს მწუხარების ნიშნად დღევანდელი სხდომა შევსწყვიტოთ. ორიოდ უკიდურეს მემარჯვენეთა გარდა ყველანი ფეხზე სდგებიან. სხდომის შეწყვეტასა და გადადებას კენჭს ვუყრი.

ზამისდგავსი სიტყვას თხოულობს. მარცხნიდან ხმები: კამათის ნებას ნურავს მისცემთ, კენჭი უყარეთ!

ზამისდგავსი: მე ამ წინადადების წინააღმდეგი ვარ და ვაცხადებ, რომ ტოლსტოის პატივისცემად სხდომის შეწყვეტა არა ღირს. ჩემი აზრი ორს მოსაზრებაზე ემყარება: არსებისა და ფორმა-

ლურზე. ფორმალურის მხრივ, მე ნგონია, რომ მოაზრეთა, ხელოვანთა, მსახიობთ და მეცნიერთა სიკვდილმა სათათბიროს სხდომათა შეწყვეტა არ უნდა გამოიწვიოს, რაც უნდა გამოჩენილი და ნიჭიერი იყვნენ ისინი: თუ ვისმე ასეთ პირთა პატივისცემა ჰსურთ, ეს სხვა გზით და სხვაგვარად შეუძლიანთ გამოხატონ და არა სათათბიროს სხდომის შეწყვეტით, იმ სათათბიროსი, რომელიც ქვეყანას ესაჭიროება და რომლისათვისაც იგი ხარჯს იხდის (მარჯვნივ ხმები: მართალია!) ასეთი საქმის საზოგადო მოსაზრება, ასე ვსთქვათ, ფორმალურად. მაგრამ, გარდა ამისა, ამ შემთხვევის შესახებ არსებითი მოსაზრებანიც გვაქვს: ტოლსტოი, უკანასკნელ დროს, ეკლესიას, ოჯახსა და საკუთრებას უარსა ჰყოფდა, იგი უარს-ჰყოფდა და ყველა იმას, რააც ჩვენ, როგორც სახელმწიფოებრივი დაწესებულება, უნდა ვიცავდეთ და ვითარავდეთ. ტოლსტოის უკანასკნელ წელთა მოღვაწეობა დამანგრეველი იყო, ჩვენი მოქმედება კი შემოქმედებითი და აღორძინებითი უნდა იყოს (მარჯვნივ უწონებენ) იგი ეკლესიასთან შემომწრალი გარდაიცვალა. ეკლესიამ მის დამარხვაზე უარი სთქვა და მისი პატივისცემა აქ, სათათბიროში, ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის გამოცხადებას უდრის. (მარჯვნივ ხმები; მართალია! ცენტრიდან: ტყუილია). ეს საქციელი იმის დამადასტურებელი იქნებოდა, რომ ჩვენ სახელმწიფოსა და ეკლესიის გაცალკევების მომხრენი ვიყოთ. მე ვიცი, რომ სათათბიროში ბევრი ესწრაფის ამას, მაგრამ ამის წინააღმდეგ ჩვენ გვიბრძოლნია და ვიბრძოლებთ კიდევ. კიდევ ერთი რამ, ყველაზე უადრესი: სათათბირო — ეს სახელმწიფოებრივი დაწესებულებაა, რის გამოც მას სახელმწიფო სათათბირო ეწოდება. ტოლსტოი-კი სახელმწიფოსა და სახელმწიფო დაწესებულებათ უარ-ჰყოფდა, კერძოდ იგი სახელმწიფო დაწესებულებაში იმისთანა კაცის პატივისცემა, რომელიც ამ დაწესებულებას უარსა ჰყოფს, თავის თავის უარ-ყოფად მიმაჩნია (მარჯვნივ ხმები: მართალია) და ასეთი საქციელი შეუძლებლად, ლოდიკურ სისულელედ მიმაჩნია და ამის გამო პროტესტს ვაცხადებ. (მარჯვნივ ტაშისცემა, მარცხნივ სტვენა)

თავმჯდომარე: დღევანდელ სხდომის შეწყვეტასა და გადადებას კენჭს ვუყრი. უკიდურეს მე-

მარჯვენათა და რამდენიმე ნაციონალისტთა წინააღმდეგ სხდომის გადადება უმრავლესობამ მიიღო.

სახელმწიფო სათათბირო

გუბია თავმჯდომარეობს. სასკოლო კანონპროექტის 80-13 მუხლს იხილავენ. ეს მუხლი ამბობს, რომ მე-12 მუხლში მოხსენებულ საგნების გარდა, პირველ-დაწყებით სკოლებში შეიძლება ისწავლებოდეს ხელ-საქმე, ხელოსნობა, მეოჯახეობა და მეურნეობის დარიგება ადგილობრივ პირობების მიხედვით.

კრივიციის, ჟღანჯღის, იანუკაიის, რეკოვანისა და ბუჯატის კამათის შემდეგ, ამ მუხლს კომისიის რედაქციით იღებენ.

მე-14 მუხლს იხილავენ. ეს მუხლი სამღვთო სჯულის სწავლებას ეხება.

ტიჩინს წინადადება შეაქვს, რომ სამღვთო სჯულის სწავლების განსაზღვრა არა-არუსთა სკოლებში მხოლოდ სამოსწავლო საბჭოთა და სასწავლებლის შემნახველი კი არ ეკითხებოდეს, არამედ გუბერნიისა და ოლქის უფროსებსაც.

მდგ. ტიტოვი პროგრესისტთა სახელით, კენი მაკევიჩი პოლონეთის კოლოს სახელით, მაქსუდოვი და ტუკაევი მუსულმანთა სახელით თხოულობენ, რომ სამღვთო სჯულის სწავლების თაობაზე შეტანილი შესწორებანი მიიღონ და ამ საგნის სწავლება მხოლოდ სამოსწავლო საბჭოსა და სკოლის შემნახველთა სურვილისმებრ არა სწარმოებდეს. ყოველი შესწორება უარჰყვეს და ეს მუხლი კომისიის რედაქციით მიიღეს.

მე-15 მუხლა შეიცავს სკოლის გეგმასა და პროგრამას

ტიჩინინი ამ საკითხის გადაწყვეტას სამასწავლო საბჭოს უჭევმდებარებს.

ბუჯატის აზრით ეს საკითხი სამინისტრომ კი არა, ადგილობრივმა თვით-მმართველობამ უნდა განიხილოს და გადასწყვიტოს.

ჯანკოვი კადეტთა შესწორებას იცავს და ამბობს, რომ სკოლის პროგრამა მისმა დამაარსებლებმა უნდა შეიმუშაონო.

ბელოუსოვი. სოციალ-დემოკრატები შესწორებას იცავს, რომელიც მოითხოვს, რომ სასკოლო პროგრამა რაც შეიძლება ფართოდ იყოს შემუშავებული და საკანონმდებლო გზით დამტკიცებული.

ეპისკოპოს ევლოვს შესწორება შეაქვს, რომ სამღვთო სჯულის პროგრამა სინოდმა და განათლების სამინისტრომ ერთად შეიმუშაონ.

მომხსენებელი კავაჯევსკი თანახმაა მისი შესწორებისა, მხოლოდ ამბობს, რომ სამღვთო სჯულის პროგრამა განათლების სამინისტრომ უნდა შეიმუშაოს სინოდთან შეთანხმებითაო. მე-15 მუხლს კომისიის რედაქციით იღებენ.

თავმჯდომარის ადგილს კაპუსტინი იჭკეს. მე-16 და მე 18 მუხლებს იხილავენ. ეს მუხლი ეხება იმას, თუ სწავლება რომლის ენაზე უნდა სწარმოებდეს.

მომხსენებელი კავაჯევსკი სახელმწიფო ენის მომხრეა (აქ დეპუტა არეულია).. იგი კომისიის აზრს ესარჩლება და სათათბიროს აფრთხილებს, — სახიფათო პოლიტიკურ კამათს ერიდეთ ასეთ რთულსა და სამძიმო საკითხის გარჩევის დროს, როგორც სწავლების ენაა.

პარონი ფედეკინსამი პრედალნიისა და ტერრასისა მიერ გამოთქმულ აზრს ეწინააღმდეგება, ვითომც ბალტიის მხარეში პირველდაწყებითი სკოლა გაგერმანელბულიყოს. ორატორი ამბობს, რომ რადგანაც ადგილობრივი სკოლები იქ ადგილობრივ თავადაზნაურობის ხარჯით არსებობს, ქალაქებში გერმანულად უნდა ისწავლებოდეს საგნები, ხოლო სოფლად კი — ლათინურადო.

ორატორთა ჩაწერვა მოსპვს.

57 ორატორია ჩაწერილი.

ჯეონოვი დაწვრილებით ეხება იმას, თუ არა-არუსთა სკოლებში, რომელს ენაზე უნდა ისწავლებოდეს საგნები. წესით შემოღებულია, რომ იმ ადგილებში, სადაც სცხოვრობენ პოლონელები, ლიტველები, გერმანელები, მუსულმანები, ესტონელები, ლატიშები, სომხები, ჩეხები და ქართველები, ისეთი სკოლა უნდა არსებობდეს, სადაც სწავლება დედა ენაზე იწარმოებს, თუ კი იმ ადგილას, სადაც სკოლა არსებობს, ირგვლივ სამი ვერსის სივრცეზე მოიპოვება 15 ბავშვი, რომელთაც რუსული არ იციან და დასახლებულ ეროვნებათ ეკუთვნიათ. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა შესაფერ მასწავლებელთა მომზადება, რომელთაც



უნდა იცოდნენ, როგორც რუსული, ისე ადგილობრივ ენის მცოდნე, რუსი ინსპექტორები, უნდა არა-რუსთა ენებზე გამოიციეს სახელმძღვანელო და სასწავლო წიგნები. ყველა ამ მოსაზრების შემდეგ ოქტომბრისტები დარწმუნებულნი არიან, რომ ეს საშვალბანი მავნებელი კი არა, სასარგებლო იქნება თვით რუსულ ენისათვის, იგი განაპირა ქვეყნებში არ-კი შეასუსტებს რუსეთის სახელმწიფოებრივს აზრს, არამედ უფრო განამტკიცებს. (მარჯვნივ და ცენტრის ნაწილში სტვენა, ცენტრის უმრავლესობა და ოპიზოცია ტაშს უკრავს).

მინისტრის ამხანაგი გეორგიევსკი, მემარჯვენეთა და ნაციონალისტთა მოწონებით, ოქტომბრისტების წინადადების წინააღმდეგ ლაპარაკობს: სახელმწიფო წყობილებაში სწავლების ენას არსებითი მნიშვნელობა აქვს, ამაზე დამყარებული რუსეთის მერმისი—რუსეთი მთლიანი და განუყოფელი დარჩება, თუ—არა? მინისტრის ამხანაგს აუცილებლად მიაჩნია ის აზრი, რომ რუსეთში სკოლა რუსული უნდა იყოს და რუსის მასწავლებლები უნდა ასწავლიდნენ რუსულად. არა-რუსთა ინტერესების შესახებ ორატორი ამბობს, რომ არა-რუსთაც ხომ უნდა შეისწავლონ რუსული ენა, თორემ უამისოდ იგინი ვერ გაიზიარებენ საუკუნეთა განმავლობაში შექმნილს რუსულ კულტურას. პედაგოგიურის მხრივაც ცხადია, რომ ენას მხოლოდ მაშინ შეითვისებენ, როდესაც არამც თუ ისწავლიან რუსულ ენას, არამედ რუსულად ფიქრსაც შეეჩვევიანო. სამინისტროს რედაქცია ამ საკითხს უკეთესადა სჭრის, ვიდრე კომისიისა. ამის და მიუხედავად, ორატორის აზრით, არა-რუსთა სკოლისათვის, როგორც სამინისტროს, ისე კომისის მხრივ, რაც კი შესაძლებელი იყო, გაკეთებულია და ამაზე მეტს კი ვეღარას მივცემთ, თუ გვსურს, რომ რუსეთში სკოლაც რუსული იყოს.

ბარატინსკი. აღნიშნავს, რომ გარუსების ძველმა სისტემამ თავისი დრო მოიჭამა და მას მხოლოდ დაძველებული ნაციონალიზმით თუ გამოესარჩლება, ხოლო ამ გზით რუსეთის ხალხთან ვერავის შეადუღებენო. ორატორის აზრით, თუ ისეთი სახელმწიფო სკოლა არ შექმნეს, რომელიც მუსულმანთა მკვიდრთაც მიიზიდავს, ამითი სახელმწიფო არა-რუსთა განათლებას ხელიდან გაუშვებს. არა-რუსებში სახელმწიფო სიყვარული უნდა განამტკიცოთ.

ხოლო ძველი ხრიკები უნდა დასთმოთო (მარცხნივ და ცენტრში ტაშის ცემა).

ეპისკოპოსი ევლოგი. ამბობს, რომ ასეთ წესების შემოღებით, არა-რუსთა რაიონებში რუსული სკოლა არა-რუსთა სკოლად გარდიქცევა, მაშინ როდესაც სახელმწიფო მოვალეა ყველა მშვიდობიანი ქვეყნებში ვრდომი ერები რუსეთის კულტურით აზიაროს. ამის იარაღად კი რუსული სკოლა და რუსეთის სახელმწიფო ენაა. საქმე გარუსებაში კი არ არის, არამედ იმაში, რომ ვისაც რუსულ კულტურით სარგებლობა ჭსურს, მან მონაწილეობა უნდა მიიღოს იმ სახელმწიფოს საერთო მუშაობაში, რომელიც მისთვის სამშობლოდ გარდაიქცა. სახელმწიფოებრივ აზრის გავრცელებასა და განმტკიცებას სახელმწიფო ზურგს ვერ შეაქცევს. ორატორის აზრით, არა-რუსთა მშრომელი ხალხი რუსულ სკოლას არ მისდევს, იმ ბელადებისას, რომელთა ბაგეთაგან ისეთს სიტყვებს ვისმენთ. რაც გულსა გვტკენს, რადგანაც რუსულ სკოლას და რუსულს ენას ფებ ქვეშ სთელავენ. ეპისკოპოსი აღნიშნავს ყველა იმ სიკეთეს, რომელიც რუსეთს არა-რუსთათვის უზრუნვია და აღშფოთებულია, რომ ისინი მაინც რუსეთის სიწმინდეს ნერწყვით ავსებენო. ამ მოსაზრებით, ორატორი, ოქტომბრისტთა წინადადების ძირითადი მოწინააღმდეგეა და მომხრეა, რომ მოლოროსებსა და ბელოროს კათოლიკეთ უფლება მიეცეთ თავის დედა-ენაზე ასწავლიდნენ სკოლებში. (მარჯვნივ და ცენტრის ნაწილში ტაშის ცემა).

ბაზილევინი. ოქტომბრისტების შესწორებას ემხრობა, და ამტკიცებს, რომ სკოლებში დედა-ენაზე სწავლების თავისუფლება უნდა დაეაწესოთო.

ბარონი შეიენდორფი გაახსენებს დებუტატებს რომ ყველა სასკოლო კანონები უფრო ხანგრძლივია, ვიდრე მათი დამადასტურებელი პოლიტიკური ძალნი. მუდმივი და ხშირი ცვლებადობა სასკოლო საქმისა, მხოლოდ გაუსწორებელ ვნებას მოიტანს-სადაო საკითხად, ამ შემთხვევაში არა-რუსთა სკოლაა: ოქტომბრისტების შესწორების მოწინააღმდეგენი ხან პოლიტიკურსა და ხან პედაგოგიურ მოსაზრებას ემყარებიან, მაგრამ ივიწყებენ, რომ სახალხო სკოლისა და სახელმწიფოს ინტერესთა დაკავშირების საკითხი მუდამ საგრძობელი და სამიმო საკითხია სახელმწიფოს შინაურ პოლიტიკა-



ში. სოფლის მასწავლებელი საკანონმდებლო დაწესებულების მიერ შემუშავებულ კალაპოტში ვერ ჩამოყალიბდება. ისეთი მასწავლებელი, რომელმაც პროექტის პირველ მუხლში აღნიშნული ვალდებულება უნდა განახორციელოს, არ მოიპოვება არამც თუ არა-რუსთა, არამედ თვით რუსულ სკოლებშიაც. სახალხო სკოლის მასწავლებელთა თქვენ მიერ წამოყენებულ იდეალებით ვერ მოხიბლავთ. კანონის შემუშავების დროს გვერდი არ უნდა აუქციოთ იმ ძალას, რომლის საშუალებითაც გსურთ ცხოვრებაში დაკანონებულის განხორციელება. რუსის სკოლებისათვისაც არ მოგეპოვებათ საკმაო მასწავლებლები, თქვენ კი, ოცნებობთ, რომ არა-რუსთა სკოლებსაც მისთავაზოთ. ნუ გავიწყდებათ, რომ რუსეთი ეხლა ღრმა დილემაში განიცდის: მისი სულიერი სიცოცხლის ლტოლვა ტოლსტოის უკიდურესობიდან ვოსტოროგოვის უკიდურესობამდე მიდის. თქვენი სახალხო სკოლის მასწავლებელნი ვის ემხრობიან? გულუბრყვილება იმისი ფიქრი, ვითომ საკმარისი იყოს დაკანონება იმ მუხლისა, რომ „სახალხო სკოლა არა-რუსთა შორის რუსული უნდა იყოს“. ამ გზით რუსეთის სახელმწიფოებრივ სკოლის შექმნა შეუძლებელია, ამ საქმისათვის შესაფერ და საჭირო ხალხის საყოლად საჭიროა რუსის ხალხის ყველა კულტურულ და სულიერ ძალთა ამოქმედება. იქნება მიზნის მიღწევად ის მიგაჩნიათ, რომ თქვენს მსოფლ მხედველობას იცავთ? უმჯობესი არ იქნება, არ გააღიზიანოთ არა-რუსთა საღი და ჯანმრთელი ორგანიზმი? როდესაც მთლიანად აღიარებთ ფორმულას: „რუსეთში რევოლუცია რუსული კი არა არა-რუსთა იყოფო, ამით უკმაყოფილოთა ბანაკისაკენ ისტუმრებთ არამც თუ სახელმწიფოს მოწინააღმდეგე ელემენტებს, არამედ აუარებელ ეროვნებათ, რომელთაც ეს სენი ჯერ არ მოსდებიათ. განაპირა ქვეყნებში მყოფი რუსი მასწავლებელი, თუნდაც ოპოზიციურის აზრებითაც არ იყოს განმსჭვალული, თვითონ თავისის პირადის არსებულ გარემოებთა კრიტიკის განხორციელებად იქცევა და იმ წრეში სოციალურ ვახრწნილების ელემენტები შეაქვს. გახსოვდეთ, რომ მოციქულებრივს მოვალეობას მხოლოდ ისეთ ადამიანს ანდობენ და აკისრებენ, რომელმაც მოციქულებრივი მოწოდებითაა გამსჭვალული, ხოლო, როდესაც განაპირა ქვეყნებში გზავნით კაცს მხოლოდ მის-

თვის, რომ მასწავლებლობის მოწმობა აქვს, ეს — უბრალო კანცელარული წესია და სხვა არაფერი. თქვენის თვალსაზრისითაც რომ გადავხედოთ საქმეს, ვერ ვიტყვით, რომ რუსეთში ამ მხრივ ყველაფერი თავის რიგზე იყოს. გაიხსენეთ მეფე ალექსანდრე პირველის სიტყვები; როდესაც ზამთრის სასახლეს ცეცხლი წაეკიდა და ზიმიწმა კი მოახსენა: „ყველაფერი თავის რიგზეაო“ — მეფემ უბასუხა: „მიტრიადი, სულელიო!“ (საერთო სიცილი და თითქმის ყველა სკამზედ ტაშის ცემა). ვაი, თუ ისტორიამ ჩვენც ეს სიტყვები შემოგვიტვალოს, თუ ყურადღებას არ მივაქცევთ მასწავლებელთა შემადგენლობას რუსეთში მცხოვრები არა-რუსთა უმრავლესობა რუსეთის ინტერესთა წინააღმდეგ არაა ამხედრებული; ბევრი მათგანი, განსაკუთრებით პატარა ერები, მთელ თავის ძალდონეს საერთო შრომას ახმარებენ. ამ ერებს, ურუსეთოდ, არავითარი მერმისი არა აქვთ. ისეთი, ერებიცაა თავისის ფიზიოლოგიით განსხვავებული, რომელნიც რუსეთის ფარგლებში ყოფნას ვერ ურიგდებიან, მაგრამ მათი რაცხვი მეტად მცირეა და მათი საკითხები განსაკუთრებულია. რუსეთის სახელმწიფოებრივობა დაინტერესებულია, რომ არა-რუსთაგან მკვიდრი ქსოვილი დაამზადოს. ამისათვის აუცილებლად საჭიროა, რომ არა-რუსთა სკოლებში ისეთი მასწავლებლები დაეტოვოთ, რომელნიც ადგილობრივ ორგანიზმთან დაახლოვებულნი და დაკავშირებულნი არიან, რადგანაც კიდევ მხოლოდ მათ ესმით და შეუძლიანთ მათს მიმართულებას უხელმძღვანელონ.

არა-რუსთა ორგანიზმში უფრო მეტს სახელმწიფოებრივ-აზრით განმსჭვალულ ხალხსა ნახავთ, ვიდრე დღეს ნამდვილ რუსთა სოფელში.

არა რუსთა მკვიდრს ქსოვილზე უმჯობესია და ადვილიც რუსეთის მთლიანობისა და სიმტკიცის დამყარება, ვიდრე საოსტატო სემნარიებში კურს დამთავრებულ მასწავლებლებზე, მხოლოდ იმისგამო, რომ იგინი რუსები არიან. რუსეთის ნაციონალიზმისა და რუსეთის სახელმწიფოებრივობის საკითხი არც ისეთი უბრალო საკითხი, როგორცა გგონიათ. სხვა ქვეყნებში, თქვენ მიერ წამოყენებულ ნიციონალიზმის პოლიტიკას, ხელს უწყობს მოსახედეთა ეთნოგრაფიული ერთფეროვნება, რომელიც უცხო ენაზე მოლაპარაკე უმცირესობას ადვილად გასრესავს თუ თქვენ ასეთ ომის გამოც-



ხადებას აპირებთ, მოგეპოვებათ კი ისეთ მასწავლებელთა ლაშქარი, რომელიც ამ უთანასწორო ბრძოლაში ლელოს გაიტანენ! პოლიტიკაში გრძობაზე ხომ არ შეიძლება დამყარება; თუ თქვენი ნაციონალური მისწრაფება დღევანდელ დღის სინამდვილეს არ შეესაბამება, მაშინ თავის მოტყუების მეტი ხელთ არა შეგრჩებათ რა. თქვენი პატრიოტიზმის ბრმა თავყანისცემა, სინდიკალისტა ბრმა თავყანისცემას მაგონებს დამონებულ პროლეტარიატის მიმართ. სინდიკალისტებმა ეხლა ინტელიგენტთა ყოველგვარი ბელადობა უკუ აგდეს და მასის უკმაყოფილებაზე დამყარებულნი გაიძახიან: „ჩვენ რევოლიუციას მოვანდენთ და ყველაფერი ჩინებულად მოეწყობაო“, თქვენ კი ამბობთ: „რუსის მოქალაქის ნაციონალურ აღლოს მივენდობთ, უთხრათ რომ ის უნდა პირველობდეს—და რუსეთის სახელმწიფოში ყველაფერი საუცხოოდ იქნებაო“. მაგრამ ეს ხომ პოლიტიკა კი არა—თავის მოტყუებაა. დროა, თქვენი ძალღონე იმას შეალიოთ, რომ რუსეთის ხალხში ამოდრავდეს ისეთი ძალა, რომელიც კულტურულ განვითარებას თავისუფალ გზას მისცემს და ყოველ არა-რუს ეროვნებათაც სულიერ ხელმძღვანელობას გაუწევს. მოახერხეთ ეს—და თქვენი საქმე გაიჩრახტება. ხოლო, თუ თქვენ რუსეთის საქმეს ვიწრო ფორმულებში შეხუთავთ, მხოლოდ თავის მოტყუება შეგრჩებათ ხელში. რუსეთის სახელმწიფო კეთილსაიმედო მოხელის იმედით ვერ განმტკიცდება, რადგანაც ის იმ დრომდეა კეთილსაიმედო, სანამ ფულს აძლევენ, სანამ ძალა მის ხელთაა.

(ხანგრძლივი ტაშის ცემა ყველა სკამზე).

მამსვენებელი ფან ანკუა, აღნიშნავს, რომ ეხლახან ნათქვამმა სიტყვამ თავისის გულწრფელობით და სამართლიანობით მთელი სათათბირო მოხიბლა, მაგრამ ორატორს ყველაფერში ვერ დავეთანხმებით. ქვემარტება ყოველთვის შუაშია, რუსული სკოლა სახელმწიფოებრივი უნდა იყოს—ეს ექვს გარემოა, მაგრამ პირველ ოთხ წელიწადს სკოლებში სწავლება დედა-ენაზე იქნება, თუ რუსულ ენაზე—ამით სახელმწიფო არაფერს დაჰკარგავს.

შემდეგი სხდომა ორშაბათს მოხდება.

გუჩუაძე თავმჯდომარეობს. შემოსულ საქმეთა კითხულობენ, სხვათა შორის შინაგან საქმეთა

მინისტრისადმი 34 დეპუტატის შეკითხვას; დეპუტატები განმარტებენ თხოულობენ—რამ გამოიწვია ქალაქის ამომრჩეველთა საზოგადოების გაუქმების ცირკულიარიო.

შემდეგს სასკოლო კანონ-პროექტის მე 17 მუხლს იხილავენ.

ამ მუხლის ძალით, რუსულის არმცოდნე ბავშვებს პირველ ორი წლის განმავლობაში ყველა საგნები დედაენაზე უნდა ისწავლებოდეს, ხოლო მესამე წლის დასაწყისიდან, სამთო სჯულისა და დედა ენის გარდა, ყველა საგნები რუსულად უნდა ისწავლებოდეს.

ეპისკოპოს ევლოგის წინადადება შეაქვს, რომ სამხრეთ და ჩრდილო მხარესა და ხოლმეშინაში, მალოროსთა და ბელოროსთა მოსახლეობის სკოლებში—სადაც კათოლიკეთა სარწმუნოებაა გავრცელებული—სამთო სჯული რუსულს ენაზე ისწავლებოდეს.

ტიჩინინი მის შესწორებას ემხრობა და ამბობს, რომ ბელორუსთა და მალორუსთა მოსახლეობაში დროა კათოლიკე სამღვდელოების ძალმომრეობა აილაგმოსო.

მატევეიჩი ეპისკოპოს ევლოგის უპასუხებს და აღნიშნავს, რომ როდესაც კანონი ცხადად და ნათლად ამბობს—სამთო სჯული დედა ენაზე ისწავლებოდესო,—რამე გამონაკლისის გაკეთება საჭირო აღარ არის. თითონ მშობლებმა უნდა გადასწყვიტონ, თუ მათმა შვილებმა რომელს ენაზე ისწავლონ.

ბუჯატის მოსაზრებით ეპისკოპოს ევლოგის შესწორება სამთო სჯულის სწავლების საქმეს უხერხულ მდგომარეობაში ჩაავდებს, ამისათვის მოითხოვს, რომ სამთო სჯული მხოლოდ დედა ენაზე ისწავლებოდეს.

19—23 მუხლს კომისიის რედაქციით დებულობდენ. მერე მორიგ საკითხზე გადადიან. ხოლო სასურველად მიიჩნიეს, რომ მოწაფეთა გამოცდის დროს, სამოსწავლო საბჭომ უფრო მეტი ხალხი მიიწვიოს ხოლმე.

მე 23 მუხლი ამბობს, რომ ყოველს სკოლაში ბიბლიოთეკა იქონიონ, და სახელმძღვანელო წიგნებს მოუყარონ თავი.

პროგრესისტების შესწორებით, ხელ მოკლე მოწაფეებს სასწავლო და სახელმძღვანელო წიგნები უსასყიდლოდ ეძლეოდეთ.

ქ. მარქის სან. საქ. ს.

კადეტების აზრით, სახელმძღვანელო და სასწავლო წიგნები ყველა მოწაფეებს უსასყიდლოდ უნდა ეძლეოდეთ.

ამ მუხლს, ფონ-ანრებისა და პროგრესისტების შესწორებით ღებულობენ:

მამა გუმიდინის აზრით პირველ-დაწყებით სკოლის მასწავლებლად საშუალო სასწავლებელში კურს დამთავრებულნი უნდა წესდებოდნენ. ეგზამენის ჩაბარება შეიძლება არა-მარტო სახალხო განათლებისა, არამედ სხვა უწყების საშუალო სასწავლებელშიაცაა.

ჯიბაჯინი წინააღმდეგია, რომ მასწავლებლად განწესებისათვის მისს სარწმუნოებას რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს.

მამა იუკაშკევიჩი უიშობს, რომ ოქტომბრისტების შესწორებამ მართლ-მადიდებლობას ზიანი არ მოუტანოს და თხოულობს დასაფრთხილებად რუსეთში, მაღოროსიაში მიინც, ნუ დააკანონებთ ისეთს წესსაო.

მამა სტანისლავსკი. არ მესმის, არა-მართლმადიდებელ მასწავლებელს როგორ შეუძლიან სწორედ განუმარტოს მოწაფეებს რუსეთის ისტორია და მართლმადიდებელ ეკლესიის სახელოვანი სიდიადე.

მამა სპასსკი ოქტომბრისტების შესწორების წინააღმდეგია და საჭიროდ მიაჩნია, რომ სარწმუნოებრივ-ზნეობრივი აღზრდა, არამც თუ სამღვაწე სჯულის მასწავლებელმა, არამედ თვითონ სკოლის მასწავლებელმაც უნდა აწარმოვოსო.

ეკმფაევი უიშობს, ვაი თუ მართლმადიდებელმა მასწავლებელმა სხვა სარწმუნოების მოსწავლეთა სულში ხელის ფათური იწყოს, — ეს კი სტარო-ბრიადცებს დიდ ვნებას მოუტანს; ამისათვის ორატორი ოქტომბრისტების შესწორებას ემხრობა.

მასლენნიკოვი პროგრესისტთა სახელით წინადადებას იძლევა, რომ ამ მუხლიდან სულ ამოშალონ სიტყვები „მართლმადიდებელ სარწმუნოებისა“; სინოდისის თავისუფლების აღიარების მერე, — ორატორის აზრით — უცნაურიცაა ასეთ შეზღუდვაზე საუბარი.

ნეკლეუდოვი აღნიშნავს, რომ ბევრს შოაზრება და დიდებულ პიროვნებას არა-მართლმადიდებელი მასწავლებელი ჰყოლიათ, მაგრამ ამას მათის მართლმადიდებლობისათვისი არ უვნია; ამისათვის იგი შესწორების მომხრეა.

მომსენებელი კოვალევსკი კამათის დასკვნას აკეთებს. 31 მუხლს ეგზამენის ოქტომბრისტებისა და გუმიდინის შესწორებით და ჩილიკინის დანატებით, რომ მასწავლებლობის მოწმობისათვის ეგზამენი უნდა ჩააბარონ საოსტატო სემინარიებისა, გიმნაზიებისა და რეალურ სასწავლებელთა საპედაგოგო საბჭოებში და აგრეთვე — მამა იუკაშკევიჩის დანატებით, რომ სამხრეთ-დასავლეთ რუსეთში და ხოლმეშინაში მასწავლებლებად მხოლოდ მართლ-მადიდებელნი წესდებოდნენ.

მ2 მუხლს იხილავენ, რომელიც მასწავლებლობის უფლებასა ზღუდავს.

მასლენნიკოვი და ბობიანსკი წინადადებას იძლევიან, რომ პოლიტიკურ დამნაშავეთაც მასწავლებლობის უფლება ჰქონდეთ, უკეთუ მათ ღირსება აყრილი არა აქვთ.

ჯიბაჯინი და მამა ტიტოვის აზრით გადაყენებულ სამღვდელთა პირთაც უნდა ჰქონდეთ მასწავლებლობის უფლება, თუ იგინი საეკლესიო წესის დარღვევისათვის არიან გადაყენებულნი და არა საერთო-სამოქალაქო წესით

ზუკაშკევიჩს თავის წმინდა მოვალეობად მიანიჩა განაცხადოს, რომ სათათბიროს უმრავლესობას, განათლება კი არა, ხალხის წარყენა ჰსურს; ორატორს ამისთვის შესწორება შეაქვს, რომ მასწავლებლად წესდებოდნენ ყველა უფლებათა და ღირსებათა აყრილი პირნიც (მარჯვნივ ტაშის ცემა, მარცხნივ ძლიერი ხმაურობა, ცენტრი გულისწყრომას აცხადებს).

წინადადება შეაქვთ, რომ პურიშკევიჩის შესწორებაზე კამათი არ გამართონ.

გლებოვი შეოჩნე აცხადებს, რომ პურიშკევიჩის შესწორება სათათბიროს გამასხარავებაა.

ზუკაშკევიჩი. ჩემის შესწორებით მსურდა მეგრძნობინებინა, რომ სათათბიროს უმრავლესობა სკოლიდან მართლმადიდებლობის გავლენის განდევნა და რუსეთის დარღვევა ჰსურს; რადგანაც სკოლა — ეს მომავალი რუსეთია. ჩემი მიზანი მიღწეულია. ამისათვის ჩემი შესწორება უკანავე მიმაქვს.

ქართველ სტუდენტთა ცხოვრებიდან

თვითნებობა თუ გაუგებრობა.

პეტერბურგელ სტიპენდიანტების წერილი უყურადღებოდ არ უნდა იქმნეს დატოვებული.

მე არ შეუდგები ქუთაისის თავ. აზნ. გარდაწყვეტილების განხილვას ის ყველამ კარგად იცის; არც შეუდგები იმის განხილვას, თუ რა უხერხულად არის მოწყობილი ამ სტიპენდიების გზაენა, რადგანაც ამ უხერხულობაზედ „ზაკაკა-ზიეს“ აპრილის ნომერში დაწვრილებით წერილი იყო პეტერბურგადან ბ. პარდაკანისა- მე შევეხები მხოლოდ იმ მოვლენას რომელიც დეპუტატთა საკრებულოში ხდება ამ სტიპენდიების გზაენის გამო.

1908 წ. მაისის პირველ რიცხვებში სტიპენდიების წესდება დამტკიცებულ იქმნა და ამ დროიდან იწყეს სტიპენდიების გაცემა. მაგრამ ამ გაცემის დროს დეპუტატთა საკრებულომ იხელმძღვანელა არა საზოგადო საზომით, არამედ თავის სურვილით, ე. ი. ზოგს მისცა 1908 წლის იანვრიდან ზოგს 1908 წლის აგვისტოდან, ზოგს დააკლო, და სხვა ამ გვარი. მაგალითად, მისცეს იმ სტუდენტს და არა-სტუდენტს, რომელიც არც კი მიჭარებია უნივერსიტეტს, და უარი უთხრეს, ან მისცეს, მაგრამ დიდის ვაივაგლახით, იმათ ვინც რუსეთში იყო და მშვიდმწყურვალე. იქონიეთ მხედველობაში, რომ ამ უკანასკნელთ ორ-ორჯერ გამოგზავნეს მოწმობა უნივერსიტეტიდან, რომ ისინი სტუდენტები არიან და პირველთ კი არ ვიცი, რომელმა დაწესებულებამ მისცა მოწმობა, რომ ფული მიეღოთ. უნდა ვთქვა გულ-ახდილად, რომ დეპუტატთა საკრებულო პირდაპირ ხრიკს ეძებს, რომ სტიპენდიანტს ზვედრი ფული დააკლოს. არ ვიცი კი, ვის სასარგებლოდ მიდის ეს ჩამონაჭრები“. კიდევ კარგი თუ რამ საზოგადო საქმისათვის ხმარობენ. დეპუტატთა საკრებულოს თვითნებობა იქამდის მიდის, რომ სტიპენდიანტს ართმევს სტიპენდიას, რისი უფლებაც მას სრულიად არა აქვს. აი მაგალითი: ვსთქვათ ნიკო და გიგო მეორე კლასში არიან ორივე დარჩენ მეორე წელიწადს იმავე კლასში, დეპუტატთა საკრებულო გიგოს უსპობს სტიპენდიას, ნიკოს კი განუგრძობს ძლევას. რა არის მიზეზი ასეთ განსხვავებისა? ნუ თუ სხვა და სხვა კანონია თვითთულ

სტიპენდიანტისათვის? თურმე ნუ იტყვიო, ნიკოს მამას ძენჭი ჰქონია, გიგოს მამას კი არა! ამბობენ, დეპუტატთა საკრებულომ ვიღაც სტუდენტს სტიპენდია დაუნიშნაო, რამდენად მართალია არ ვიცი, მაგრამ გვარსაც კი ამბობენ იმ სტუდენტისას, ამის უფლება კი მას სულაც არ ქონდა. ვსთქვათ, რამდენიმე სტიპენდიანტი სცხოვრობენ ერთს ქალაქში, ზოგი მათგანი ადრე დებულობს ფულს, ზოგი-კი საგრძნობლად უგვიანებენ. ეს მოვლენა ასე აიხსნება: ალბად „ამ ზოგიერთებს“ ქუთაისში მშობლები ან ნათესავები ჰყავთ რომელიც ნაცნობობით აჩქარებინებენ ფულის გაგზავნას: ვისაც არც ბებია ჰყავს და არც კენჭიანი ნათესავი, ის ხომ არაავისთვის არ აქვს მოსარიდებელი და საყურადღებო. „სახალხო გაზეთის“ 144 ნომერში მოთავსებულია წერილი პეტერბურგელ სტუდენტებისა კიდევ ერთხელ ამტკიცებს დეპუტატთა საკრებულოს თვითნებობას; ზოგიერთს კი ოქტომბრამდის აქვთ მიღებული. ასეთ უსამართლობის მაგალითები კიდევ ბევრი შეგვეძლო მოგვეყვანა, მაგრამ მგონი ესეც თვალსაჩინოდ გვიმტკიცებს იმას, თუ რამდენად ასრულებს დეპუტატთა საკრებულო იმ მონდობილებას, რომელიც მას დაავალა გუბერნიის თავად-აზნაურობამ. ჩვენ გვეგონა, რომ დეპუტატთა საკრებულო იყო აღმასრულებელი ორგანო იმისა, რასაც თავად-აზნაურობის კრება დაადგენდა, დააკანონებდა, ქუთაისში კი უკუღმა ხდება, როგორც ბევრ სხვა რამეებშიაც. უნდა გითხრათ მართალი, მეტად გამაკვირვა დეპუტატთა საკრებულოს მდივნის ბ. დ. მდივანის წერილმა რედაქციის მიმართ, სადაც ის სამედიცინორო სამართალში იწვევს პეტერბურგელ სტუდენტებს, რადგანაც მათს წერილში თავის შეურაცყოფას ხედავს.

თუ ბ. დ. მდივანი თავის თავს შეურაცყოფილად ჰხედავს პეტერბურგელი სტუდენტებისაგან, აქ რა საჭიროა საქმის ერთის წლითა და ორის წლით გადადება და მედიცინორობისაგან ოთხ კედელ შუა საქმის წარმოება, გაზეთის ფურცელზე გამოაშუქარავოს პეტერბურგელ სტუდენტების სიცრუე და დეპუტატთა საკრებულოს სიმართლე. პეტერბურგელი სტუდენტები იქნებიან ბრალმდებელნი, დეპუტატთა საკრებულო ბრალდებული, ბ. დ. მდივანი დამცველი, ჩვენი კი, საზოგადოება, მსაჯულები ვიქნებით, განაჩენს ჩვენ გამოვიტანთ. შე-



იძლება ბ. დ. მღვიანი საქმის წარმოების გამოაშკარავებას ერიდება ვისიმე. ეს კი, არა სასიამოვნო მოვლენა არის, ვალდებულთა თუ კი საზოგადოებას ემსახურება, მისი ინტერესები დაიცვას და მოქალაქობრივის სითამამით აღჭურვილმა გაგვაგებინოს, საქმის ვითარება. ეგებ ბ. დ. მღვიანმა ვითხროს სტიპენდიებისა მე არაფერი ვიცი, მისი წარმოება სხვას გადაეცემა. მაშინ იბადება საკითხი: ვინ მოგვით უფლება, რომ სხვას გადაეცეთ. თქვენ საზოგადოებამ ავირჩიათ, საქმე მოგანდოთ, თქვენ კი სხვას, საზოგადოებისათვის უნრობ კაცს გადაეცეთ. მგონი ეს ცოტა არ იყოს, უხერხული მოქმედებაა. ჩვენ პასუხს თქვენ გთხოვთ, როგორც არჩეულ მღვიანს. თუ თქვენ თქვენს ადგილზედ ხართ, მაშინ უნდა იცოდეთ, რაც ხდება დეპუტატთა საკრებულოში. ნათქვამია კაცმა ჭირი მალა, ჭირმა თავი არ დამალაო. მით უმეტეს არ უნდა მალვა საზოგადო საქმის მდგომარეობას. როგორც ვიცით, აირჩია თავად-აზნაურთა კრებამ თებერვლის კომისია დეპუტატთა საკრებულოს მოქმედების სარევიზიოდ, გახეთებიდან ვიცით რომ ეს რევიზია იენისში დამთავრდა და იმდენხანს კი არ ვიცით რევიზიის შედეგი. თუ ასე დასამალავი იყო დეპუტატთა საკრებულოს მოქმედება, მაშინ რაზედ იწუხებდნენ თავს ეს პატროსანი პირები? მე როდესაც აქ ვისხენიებ დეპუტატთა საკრებულოს, სახეში მყავს მარტო ის პირები, რომელთაც ახარიათ სტიპენდიების საქმე. კარგი იქნებოდა და ყოველგვარ რევიზიას აჯობებდა, რომ დეპუტატთა საკრებულო გაზეთში გამოაქვეყნებდეს სტიპენდიანტების სიას, რამდენი აქვთ დანიშნული თვეში და რამდენი მიიღეს დანიშნის შემდეგ. იმედი მაქვს, თავად-აზნაურთა მომავალი კრება მიაქცევს ყურადღებას სტიპენდიანტების მდგომარეობას და გაუადვილებს მიღებას შემდეგში მაინც.

„სახ. გაზ.“



ლია წვრილი მ. სიმონ მჭედლიძის.

მ. სიმონ! მიმდინარე წლის „მწეშის“ № 13-14 ჩვენ გადმოვბეჭდეთ ბ. ახელის შენიშვნა შესახებ „შინაური საქმეების-ა“ და ოცდა თოთხმეტი სტრიკონი ჩვენი შენიშვნაც დავაბატეთ ამავე ოპიკაში, რომ ლითაც პასუხს გთხოვდით „შინაური საქმეების“ რედაქტორს, ე. ი., თქვენ მაგრამ სამწუხაროდ ჩვენი სიტყვები ბანზე ავიგდიათ, ჩვენი წიგნების და წიგნაკების გამოცხადებით 217 სტრიკონიანი გრძელი პასუხი გამოვიცხვიათ „შინაური საქმეებში“, საპასუხო კითხვა კი მივიფუჭე ჩებიათ.

მოყოლიხართ და ქვეყანას უმტკიცებთ, რომ არასოდეს ნივთიერად თავის მდგომარეობის გაუმჯობესობაზე არ გიფიქრიათ. თქვენ ფაქრს და მაცადინობას ვითომ ლიტერატურობის ასპარეზი შეადგენდა და სხვ...

სენინარიის კურსის ვათაგების შემდეგ, სანამ მღვდლობას მიიღებდით, თქვენ ყოველწლიურად საქმე, დაბალ ღვინის ვაჭრობამდინაც კი, გამოსცადეთ. წარმოიდგინეთ თქვენს სამრევლოში ქარის წისქვილიც კი ააშენეთ, რითაც სამწყსოს დაუმტკიცებთ, რომ სტავროპოლის სემინარიაში მართო სამღვდლო საგნებს კი არ მეცადინებდით, არამედ რუსეთის სხვა კულტურაც გადმოგელოთ ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ როცა თქვენი იმედები მღვდლობაშიაც არ ავისრულდათ, მიატოვეთ ეკლესია და სამწყსოც ღვთის ანაბარად და ქუთაისის მიაშურეთ „მისიონერული“ განმანათლებელი მოღვაწეობისათვის. ღმერთმა შვიდობა მოგცესთ! ვინ იცის, თქვენი ყოფაქცევის და ცხოვრების შემხედვარე დღევანდელი გზა დაბნეული ხალხი. ცრუ მქადაგებელთაგან, ქეშმარიტ გზას დაადგინ და სხვა სარწმუნოების და აღსარების მცხოვრებნიც მართლმადიდებელ ეკლესიას შემოუერთდენ!...

თქვენ, მ. სიმონ, ჯერეთ ახალგაზდა ბრძანდებით ჩვენთან შედარებით და კარგათ ყველანი ვერ გიცნობენ. იმედია, გაგიცნობენ საქმიითა თქვენიითა. რაიცა შეეხება ჩვენს მისწრაფებას, ცხოვრების და ამ მიზნის განხორციელებას ჩვენგან, რამდენიც უნდა სწეროთ, რამდენადაც უკუღმართად უნდა გამოაცხადოთ, არას დროს პასუხს არ გააცემთ, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ იმ საზოგადოებას, რომელშიაც მე ვცხოვრობ და რომელიც მე მიცნობს, ძლიერ კარგად აქვს შეტყობილი რა კაცი ვარ. ხშირად წარმოგიტყვამს ისეთი აზრები, რომელსაც ეხლა სწერთ თქვენს ჟურნალში სამღვდლოების კრებებზე, მაგრამ მთელ კრებას თვით გაუცლია თქვენთვის ჯეროვანი პასუხი უჩემოთაც.

დღეს მხოლოდ გაძლევთ რამდენიმე კითხვას და გთხოვთ კატეგორიული პასუხი ვამცეთ. აი ეს კითხვები:

1) რათ ატყუილებდით სამღვდელოებას, როცა ამბობდით 20000 მანეთის სტამბა და სახლი მოვიპოვე და ამის ნახევარი შინც ფულები მომეცითო?

2) რა ფულები მიიღეთ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის სამმართველოდან, რა საქმისთვის და აღასრულეთ თუ არა დანაპირები საქმე?

3) ვინ არის თავდები მისი, რომ თქვენგან სესხათ წაღებული ფულები უკანვე დაბრუნდება და როდის? ვინ აგებს პასუხს თქვენგან დახარჯულ ფულებზე—თქვენ, თუ კერესელიძე?

4) როგორ მოხდა რომ ოცი ათასი მანეთის საღირალი სტამბა და ქონება ასე უცეფ გაქრა და ვალის მეტი ხელში აღარა შეგრჩა—რა?

იმედია, პასუხს არ დაავიანებთ, რადგან თავისუფალი ბრძანდებათ, არ გაწუხებთ მრევლი და არც ეკკლესიაში, სამსახური ამასთან სამმისიონერო მოღვაწეობაც, ვგონებ, გაგითავებიათ, რადგან ვითომ ხუთი ათასი წიგნაკი, „ქრისტე აღსდგა!“ დაგირიგებიათ ქუთაისში მუქთაღ!?

დეკანოზი დ. დამბაშაძე.

ს ა ზ ა რ ე ლ ი დ რ ა მ ა

ტფ. ვაჟთა ზირველ გიმნაზიაში.

როგორც წინათ ვწერდით, ვაჟთა ზირველს გიმნაზიაში საზარელი დრამა დატრიალდა. ვაჟწევბთ მკითხველთ ამ მკვლელობის დაწვლილებით ცნობებს.

მკვლელი მეხუთე კლასის მოსწავლე იყო მისი ძამა გორის მაზრის აზნაურია ამ ქამად ტფილისში სცხთაზრობს. ერთხანად იგი საკიეში უოფილა და ახლა დაბბლად უოფილა ჩავარდნილი.

მაღვა თავდგირიძე გიმნაზიაში უოველთვის ცუდად სწავლობდა და ერთის კლასიდან მეორეში ძლივს გადადიოდა. 17 წლისამ, როგორც იყო, მეხუთე კლასს მიაღწია სდაც დატოვებულ იქმნა მეორე წელს.

2 ნოემბერს თავდგირიძე სასწავლებელში ჩვეულებრი მოვიდა. ის ნერვებ ამლილი იყო და ამხანაგებთან ლაზარაკის დროსაც ადელგება ეტეობოდა. მეორე გაკვეთილის შემდეგ გიმნაზიის ინსპექტორს დაეთხოვა და სახლში წავიდა. მესამე გაკვეთილის შემდეგ გიმნაზიაში კვლავ დაბრუნდა. როდესაც მოსწავლენი მეოთხე გაკვეთილზე შედიოდნენ, თავდგირიძეც მათ გაჭევა. გიმნაზიის ინსპექტორმა ა. დ. საყაროვმა თავდგირიძე შეამჩნია და უთხრა მას: „ზალტოთი და ქუდიოთ რაღას დგესართ... კაიხადეთ“. იქ მეოფ მოსწავლეთა სიტყვით, თავდგირიძემ ბოროტად გადაჭსედა ინსპექტორს, რომელიც უკვე წავიდა, ეცა იქავე მოძავალს, რუსულის ენის მასწავლებელს ს. ს. ტროიცკის, ამოიძრა ზალტოდან ხანჯალი და კიოსერში, ძარცხენა ძხარეს, ისე მძლავრად დაარტყა, რომ უურიც მიაჩენს. თავდგირიძემ ამ დროს დააპირო გამოჭკიდებოდა ინსპექტორსაც, მაგრამ აზრი შეიცვალა და ისევ თავის მსხვერზლს ეცა და მუცელსა და ფეხში დასჭრა. იქ მეოფი მოსწავლენი სულ დაიბნენ, გამაკებული თავდგირიძე კი ჭევიროდა: „არ მომეკართ, თორემ ვეელას დაგჩხსავოო“. ხანჯალი მკვლელს ძლივს წართვა გიმნაზიის მოსუცებულმა მასწავლებელმა კ. ფ. განმა. მოსწავლენი მაშინვე ეცნენ მკვლელს, უნდოდათ იქვე გაეთავებინათ, ერთმა სილაც გაბრტყა, მაგრამ მასწავლებლებმა ის ძლივს ხელიდგან გამოსტაცეს ადმფოთებულ მოსწავლეთ.



დაჭრილი მასწავლებელი გომნაზიის სა-
 ავადმყოფოში მიიყვანეს და გამოუძახეს ექი-
 მებს. იგი სისხლიდან იცლებოდა და თან
 ამბობდა: „მშვიდობით... მე მისთვის მიზა-
 ტივებია“ - 15 წამის შემდეგ ტროიციკი გარდა-
 იცვალა, რამაც დიღათ დააღონა და ააქვითი-
 ნა გომნაზიის ეველა მოსწავლე, რომელთაც
 განსვენებული ძალიან უეწარდათ და ზატყვისა
 სცემდნენ. განსვენებული 28 წლის იყო. ჯვა-
 რი მარმან დაიწერა და გომნაზიაში საუკეთე-
 სო მასწავლებლად ითვლებოდა.

(„სახალხო გაზეთი“)

მ წ ა რ მ ფ ი ძ რ მ ბ ი

(გაგრძელება)

ასი და ათასი მაგალითი იდგან მოვიყვანთ რამო-
 დენიმეს. წარმოიდგინეთ სოფლის მღვდელი, მკი-
 რე და ღარიბ სამრევლოში მყოფი, არაფრის მქო-
 ნებელი. ამ მღვდელმა დაიწყო მეცადინეობა, რომ
 ქალაქის ადგილას ეშოვა რომელიმე თბილი ადგი-
 ლი. დიდი მეცადინეობის შემდეგ, როგორღაც
 ეღიროსა ერთ სემინარიაში ეკონომის ადგილის
 მიღებას. ჯამაგირად დაენიშნა ექვსასი მანეთი.
 როგორც წინადაც ესთქვით ექვსასი მანეთიდგან
 მომპირნეობით შეინახა ყოველ წელს ნახევარი
 ჯამაგირისა, ე. ი., სამასი მანეთი. გასაკვირლად სა-
 ზოგადოებისა ეს ეკონომოსი აგერ ოცა წელიწა-
 ღია მსახურებს ერთსა და იმავე ადგილზე, როდეს
 საც მისი წინამოადგილენი არასოდეს არ დარჩე-
 ნილან მის ადგილზე ამოდენი ხნის განმავლობაში.
 300X20=6000 მან. ამ ანგარიშით ოც წელი-
 წადში შეეძლო მას შეენახა 6000 მან., თუ არ
 ვიანგარიშებთ სარგებლის სარგებელს და სარგებ-
 ლიც რომ ვიანგარიშოთ, მაშინ 10000 მან. მაინც
 არ აღემატება ამ კაცის ქონება. მაგრამ ამ კაცს
 დღეს ექნება გასესხებული და გირავთი გაცემუ-
 ლი, ოსტატურად სხვა პირების სახელით 30000
 მანეთზედ ბევრად მეტი. საიდგან უნდა იყოს ეს

ფულები შეძენილი? გასაკვირველი საქმე და მო-
 ხერხებაა. კაცს აქვს ჯამაგირად 600 მან. და შავი
 დღისათვის ინახავდა ყოველ წლიურად 1500 მან.
 ბულგალტერიაც ამისთანა უნდა!

რამდენი ამისთანა მაგალითებია ხილული და
 უხილავი, მაგრამ სამწუხარო და სავალალო ის
 არის, რომ ესეთი „სასწაულთ მომქმედო“ პირები
 არიან ჩვენს სასულიერო წოდებაშიაც და სავალა-
 ლოთ სამღვდლოებაშიაც, იმ სამღვდლოებაში,
 რომელიც განმახორციელებელი უნდა იყოს
 საზოგადოებაში ქრისტეს მკნების სწავლა-მოდღე-
 რებისა!.. დიან, არ ყოფილა არასოდეს ამისთანა
 ქურდობისა და მტაცებლობის დროს. ხმა მალლად
 ყვირიან განათლება ვრცელდებაო, მაგრამ ზნეობა
 კი ეცემა საზოგადოდ.

* *

რამდენათ უჯდება ტუსადები მართებლობას?

სახელმწიფო სათათბიროში შეტანილია პროექტი
 სატუსადების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად..

სამინისტროს ცნობიდან სჩანს, რომ დღეს შთელს
 სახელმწიფოში ირიცხება დამნაშავენი ორი მილიონი და
 ორასი ათასი სული. განაწილებული არიან ცხრას
 ოთხმოც სატუსადში და ზოგიერთის სამმართველოებში
 ტუსადები არიან: საზინის ქურდები, მატყუარები,
 ეკპროპრიატორები, მტარცველები, ცხენის ქურდები,
 ცეცხლის წაშეიდებლები, მაშენნიკები, ძალით ფულის
 წაშრთმეულები, შანტაჟისტები, კაცის მკვლელები, ქურ-
 დები და ჯიბიკრები. დიდრანებთა შორის არის ათი
 ათასი დამნაშავე ზატარა ბავშვები. მათი რჩენა მართე-
 ბლობას ყოველ დღე უჯდება თითო ანაზი ტუსა-
 დების და უარულების ხარჯს და ქირას კარდა. საზინის
 ამ ანგარიშით ხარჯავს მათი რჩენისათვის ოთხს
 ორმოცი ათას მანეთს დღეში, და წელიწადში ას ორ-
 მოცდა თვრამეტ მილიონ მანეთს. ამ ხარჯს კარდა
 ხაღსს ზარავენ და ხარჯავენ ყოველ წლითით ათას მი-
 ლიონშიდის. რომ ამდენი ხაღსი მუშაობდეს და თუი-
 თეულმა სახელმწიფოს შესძინოს მთელს წელიწადში,
 საზინის შეეძინება 1,100,000,000 მ. წელიწადში.

„Русский Стяг“ № 42 1910 г.

დიად, ვის არ მოაგონის მწარე ფიქრებს დღევან-
 დელი მდგომარეობა ხაღსისა? ამბობენ რომ სატუსა-
 დებში ტუსადები არ ეტყვიანო და კიდევ უმატებენ
 სატუსადებსო. სოფლის ხუცესი.

მართვალ საზოგადოების საუბრადად.

სულ ნაწერების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ სასულიერო მწერლობა ჩვენში ადრევე ყოფილა გაბრწყინებული, რომ ბიბლიის თარგმანი თვით ნინოს დროსა დი მის მომდევნო მახლობელს საუკუნოებშივე დამთავრებული ყოფილა. ან როგორ შეიძლება ასე არ ყოფილიყო, როდესაც მაშინდელ მსოფლიოს ეველა ძლიერი და კულტურისანი ერი სწავლობდა ბიბლიას, თარგმნიდა, ხსნიდა, განმარტებდა, როდესაც მასზე გაცხარებულად მუშაობდნენ 72-ნი (ალექსანდრიის თარგმ.) ებრაა სვიმაქოსი, აკვილა, თეოდოტიონი (II სთკ. ქ. მ.), მასორეტნი, (+254 წ.) და სხვა ჩვენში ასი ათასობით ბინადრობდა ჯერ ისევ ნაბუქოდონოსორის დროიდან გარდმოსვამდე და ენით უკვე გაქარვებული ებრაელობა; ამით აქ ეველგან, თვით სატასტო ქალაქ მცხეთაშიაც კი, ქონდათ თავიანთი საედრები ხოლო კოდის-წუაროს საკუთარი მწიგნობრები, ესენი როგორ არ მოიტანდნენ ბიბლიას? რომ ეს წიგნი მცხეთაში ადრევე იყო, სხანს გაღმაცემიდანაც, მირიანმა გაქრისტიანება გადასწევიტაო მაშინ, როდესაც თავისი წიგნი (ნებროთიანი) შეუდარაო აბიათარ ძღვდლის წიგნს (დაბადებას).

ჩვენს ასეთს მსჯელობას საფუძვლად ედება ის საუნჯეც, რომელიც აღმოჩნდა საეკლ. მუხეუბში. ეს განლავეთ სელნაწერი № 570 (ტუავ.), № 646, № 51 და № 471. ოთხივე ბიბლიურ თექსტის ოთხს ვარიანტს წარმოადგენს. №471 ჰორია 978 წელს გადაწე-

რილ ბიბლიისა, ორი ჰირველი არ არის დაყოფილი არც თავებად და არც მუხლებად (ტექსტი მიუოლიო სწერია), ხოლო დაყოფილია № 51-ში*). ენისა და სხვა ნიშნების მხრივ № 570 და № 646 ტექსტი ჩვენ მიგვჩინა ძეგლად არა უგვიანეს 300-350 საუკუნისა. აქ ამ ნიშნების ჩამოთვლაზე არ შეეჩერდებით, საემაოა დავასახელოთ ისეთი სიწვეუენი, ვით თვეების სახელები წარმართულ დროისა. ისეთი სიტყვები, როგორც მართი (დებრთი), ღმერთი მანაა, (მენიშენა; მეგრ. მანუა—ტუსკა; ლურსმულში შაჟირაა), მიტევაბაო (იუბილე), ბედეში (ლურსმ. ბადუბი), ულუკი, კურტიბლები, კები (სვეტების ბგვრალი ბუმტები), მოსელი (ჭერი), ნჯობარი, წინამცლორვალი, უგანაწარ (ეპირისპირება წინსწარს), ეტერი (—სვან. დიარ—ჰური, მეგრ. დიარუა—მოვი), ხარისტი (ქვით დაფეძლილი იატაკი) და სხ. ამ მხრით ფრიად საგულასშიროა ისიც, რომ თვით კოდექს მოეება აგრედევე შედარებები შემოდასახელებულ სვიმაქოსიდან და აკვილიდან (ამითი ტექსტები ორიგენის ნამუშევარს (3 საუკ.) დაუცავს).

ამ ვარიანტების აღმოჩენა დიდ შექენილება მიგვჩინა. ჩვენს თექსტებს უაღრესი მნიშვნელობა აქვს არა თუ მარტო საქართველოს წარსულის განსამუქებლად, არამედ ბევრ საეკლოკითხვების გადასაწევიტადაც. ჯერსნობით ჩვენ მოუნდით მეფეთა წიგნების თექსტის შედარებას და ეს შედარებანი ლექსიკონიური დაბეჭდეთ ჩვენ „ნამრომში“. რომელიც ამ დღეებში გამოვა გასასუიდად. დანარჩენს ჩვენს ნაკლეგნაძიებსაც ძალე დაბეჭდავთ, თუ უსახსრობამ არ დაგვაბრკოლა.

როგორი მასწავლებლები გვყავს პირველ და წყებით სკოლებში.

რიცხვი პირველ დაწყებითი სკოლებისა ამ უამად ჩვენში ძლიერ მატულობს. სკოლების გამრავლებასთან ერთად სოფლის მასწავლებელთა რიცხვიც იზრდება. მაგრამ ეს მასწავლებლები ხარისხით, ღირსებით და ცოდნით თან და თან უკან უკან მიდიან. ამ უკანასკნელ ხუთი წლის განმავლობაში იჩვენებინა ისეთი სოფლის მასწავლებლები, რომლებსაც საღი პედაგოგიურის აზრებისა არაფერი გაეგებათ, არ ესმისთ სამშობლო ენის დიდი მნიშვნელობა მოზარდი თაობის სწავლა აღზრდის საქმეში.

მაშინდელი სოფლის მასწავლებლები თუ 1881 წელს გამოცემულ სამოსწავლო გეგმას იწუნებდნენ, ახდენდნენ კრებებს და ითხოვდნენ მთელი მასწავლებლების სახელით უცხო ენის სწავლებას მხოლოდ ორის წლის შემდეგ და მოწაფეთა განვითარებას — სამშობლო ენაზე, დღევანდელი სოფლის მასწავლებლები სხვანაირად სწირავენ.

მათ არამც თუ რაიმე ახალი მოუთხოვიათ, პირიქით ბოძებულს სავალდებულო 1881 წლის გეგმაზედაც კი ხელს იღებენ. ეს ხდება იმის გამო, რომ დღევანდელი სოფლის მასწავლებელთა უმრავლესობა მდარე ხარისხისაა, გონებრივად დაქვეითებული ხალხია და პირადი ინტერესების გარდა იმათ არაფერი ახსოვთ.

რაც შეეხება დღევანდელ სოფლის მასწავლებლებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ისინი, ბევრში სცოლავენ, ბავშვის ცუდი საქციელის გასწორებას გონება-დაცინვით და ცემა-ტყუებით ცდილობენ, ასეთს ზომებს არც ერთი გონიერი აღმზრდელი არ მიმართავს, ყველა გონიერმა ადამიანმა იცის, რომ ცემა-ტყუებით, გინებით და დაცინვით ბავშვი ცუდს საქციელს ვერ მოიშლის, პირიქით ყოველივე ეს ზომები უკარგავს მოწაფეს სწავლის ხალხის და ისე აუზუნურებს მას, რომ მისი გასწორება შემდეგში ყოვლად შეუძლებელი ხდება. მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მასწავლებლობა აგრეთი ძნელი საქმეა, და სოფლის მასწავლებლის მოვალეობა ძლიერ პასუხის საგები მოვალეობაა, დღეს მაინც ყველა მასწავლებლობს, ვისაც უსწავლია ორიოდე ანა-ბანა და ვისაც კარგი პროტექტორები ჰყავს.

აი ასეთი ადამიანების ხელშია დღეს ჩვენი სკოლების ბედ-იღბალი, ნამეტურ ასეთი ადამიანები განაგებენ დასავლეთ საქართველოს პირველ-დაწყებით სკოლებს. ამგვრმა „პედაგოგებმა“ სხვას რა უნდა ასწავლონ, როდესაც თვითონ არაფერი ესმისთ. არ ესმისთ არამც თუ ფსიხოლოგია და პედაგოგია; არამედ სასკოლო საგნებიც კი. საკვირვლია სწორედ, როგორ უნდა აღზარდონ იმათ მოზარდი თაობა, რაცა თვითონ არ არიან აღზარდილნი კარგათ, სწორის გზით, ვისაც სამოქალაქო სასწავლებლის 4 კედელშია გაუტარებია ხ წელი, დარწმუნებული ვარ, ადამიანობის არაფერი აცხია. სკოლის სულშემხუთველი რეჟიმი 6 წლის განმავლობაში ჩაატობდა მასში ღვთიურ ცეცხლს ახალ-გაზრდობისს, აღმოფხვრიდა მის გულში ხალხისადმი სიყვარულის გრძნობას, ვახდიდა მონას სულიათ და გულით და თანაც გააუზუნურებდა, გაატუტუტუტებდა; ექვსის წლის განმავლობაში სწავლების უგვანო მეთოდის წყალობით გონება გაუჭლონდებოდათ, აზროვნება დაეზოპოდათ, დაჰკარგავდნენ თავისებურობას, ორიგინალობას და გადაიქცეოდნენ მჩვრად, უსულ-გულო მანქანად უფროსების ხელში. აი ასეთი ღირსებებით შემკობილია დღეს დასავლეთ საქართველოს პირველ-დაწყებით სკოლების მასწავლებელთა უმრავლესობა. რასაკვირველია, რომ იმ სკოლას, სადაც ამ ჯურის მასწავლებელი მოღვაწეობს, არავითარი სარგებლობა მოჰქონდეს ხალხისთვის, ასეთი ჯურის „პედაგოგების“ წყალობითაა, რომ დღევანდელ სკოლებში სულშემხუთველი ატმოსფერა თან და თან ძლიერდება. მიზეზი კი ის არის, რომ დღევანდელი სკოლები ხალხს არავითარ სარგებლობას არ აძლევენ, და ამ უნაყოფობის გაძლიერებასაც დიდათ უწყობენ ხელს ახალი ჯურის „პედაგოგები“. გლეხი ჩვენში დღეს ისევ და ისევ გაჭირვებულ მდგომარეობაშია. მეურნეობა დაცემულია, ცრუ მორწმუნეობა კვლავ პარპაშობს სოფლად, ჩარჩა-ბაცაცებიც არ აკლებენ ხელს სოფლებებს და ისიც თარეშობს და სხვ. ეიტყვი მანამდე არ მოიტანს სკოლა ხალხში სარგებლობას, სანამ მისი ბედ-იღბალი ასეთი ჯურის „პედაგოგების“ ხელში იქნება.

სკოლამ რომ სარგებლობა მოუტანოს ხალხს, საჭიროა ამისათვის საღი მასწავლებლები. ეს მასწავლებლები თვითონვე აღმოფხვრიან სკოლიდან ასეთ რეჟიმს და შექმნიან საღ სკოლას.

„(განათლება)“.



ახალი ამბები და შენიშვნები.

* * დიდი კესკურსია- მომავალ მაისში, რუსეთის პროფესორთა ჯგუფი კავკასიისაკენ წამოვა მეცნიერულის აზრით. პროფესორთ აზრად ააქვთ დაწვრილებით დაათვალიერონ ბორჯომი, აბასთუმანი და შავი ზღვის ნაპირები და სამეცნიერო მასალები შეპკრიბონ დამბალი ცუების წინააღმდეგ ზომების შესამუშავებლად,

* * დეპუტატს ჩხეიძეს ბრალს სდებენ ყალბის საბუთების შექმნაში. შინაგან საქმეთა მინისტრს პ. ა. სტოლიპინის პოლიციის დეპარტამენტის გზით ოფიციალური ქალაქი გაუგზავნია სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე ა. ი. გუჩკოვისათვის და უცნობებია, სასამართლოს გამოძიებამ შემდეგი ფაქტი გამოარკვია: ტფილისის გუბერნიიდან არჩეულმა დეპუტატმა, რომელიც თავის თავს ნიკოლოზ ჩხეიძეს უწოდებს, ისარგებლა თავის ძმის ნიკოლოზ ჩხეიძის სახელზე შედგენილ ყალბის საბუთებით და ამ საბუთების ძალით არჩეულ იქმნა სახელმწიფო სათათბიროში. ნამდვილად ის კარლო ჩხეიძეა და უკანონოდ ირქმევს ნიკოლოზს. კარლო ჩხეიძემ ისარგებლა არა მარტო საბუთებით, არამედ თავის ძმის ნიკოლოზის უფლებებითა და ცენზიტაცო. შემდეგ მინისტრი აღნიშნავს, რომ კარლო ჩხეიძის მიცემა პასუხისგებაში დაგვიანებულიაო და მხოლოდ სვამს კითხვას, შესაძლებელია თუ არა, რომ სახელმწიფო სათათბიროს წევრად იყოს ის კაცი, რომელიც იქ მოჭყვა ამ გვარ გზით შექმნილ საბუთების ძალითაო.

ძნელი დასაჯერებელია ეს ამბავი. დარწმუნებული ვართ, სიმართლე ჩქარა გამოირკვევა.

(სახალხო გაზეთი)

* * მდგდლის გქელიშვილის საქმე. 5 ნოემბერს ტფ. სასამართლო პალატამ გაარჩია საქმე სანთლის ქარხნის ყოფილის ზედამხედველის მდგდლის ვლადიმერ გქელიშვილისა, რომელსაც სანთლის ქარხნის ფულის (6.820 მან.) მითვისება ბრალდებოდა ოლქის სასამართლომ, როგორც მკითხველთ იციან მდგდელი გქელიშვილი სრულიად გაამართლა და

ქართლ-კახეთის სინოდალურ კანტორის სამოქალაქო საჩივარი უყურადღებოდ დასტოვა. პალატაში ეს საქმე გადატანილ იქმნა პროკურორის მოთხოვნით. პალატამ მდგდელი გქელიშვილი დამნაშავედ იცნო ფულის მითვისებაში და გადაუწყვიტა ერთის წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა და სასულიერო ხარისხისა და ზოგიერთ უფლების ჩამორთმევა. ამას გარდა გქელიშვილმა უნდა დააკმაყოფილოს ქართლ კახეთის სინოდალურ კანტორის სამოქალაქო საჩივარი.

* * დაპატიმრებულთა ბედი. როგორც მკითხველებმა იციან, აგერ მეშვიდე თვეა, რაც რამდენიმე ქართველი მოღვაწე და მწერალი დაპატიმრეს. დაპატიმრებულთა ბედი უკვე გამოირკვა. კავკასიის უმაღლეს მთავრობის განკარგულებით, კავკასიის საზღვრებიდან ხუთ-ხუთის წლით აღმინისტრაციული წესით იგზავნებიან: შაქრო ბილანაშვილი, ქაიხოსრო ქავთარაძე, მიშა ადამშვილი და მიშა ხუციშვილი; გიორგი ლასხიშვილი იგზავნება 3 წლით, სამსონ ფირცხალავა 4 წლით, ხოლო დროის რედაქტორმა ილია აგლაძემ პირვლად ერთი წელიწადი და ორი თვე უნდა გაათავოს ციხეში, თანხმად სასამართლოს გადაწყვეტილებისა და შემდგომ იგიც გადასახლებულ იქმნება ორის წლითამ პირთაგან 20 ნოემბერს, განათავისუფლებულიქმნენ, გენერალ გ. ყაზბეგის თავდებობით, ს. ფირცხალავა, გიორგი ლასხიშვილი და ქ. ქავთარაძე, რომელნიც მოვალენი არიან, ორის კვირის განმავლობაში კავკასია დასტოვონ; კ. ონიკაშვილს, როგორც სპარსეთის ქვეშევრდომს, კავკასიიდან სამუდამოთ ასახლებენ.

(„სახალხო გაზეთი“)

* * ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების. 50 წლის არსებობის გამო ამ საზოგადოებას შესწირეს: კავკასიის ნამესტნიკმა და მისმა მეუღლემ — 5,000 მანეთი, მოსკოვის მიტოპოლიტმა ვლადიმერმა და ყაზანის არქიეპისკოპოსმა ნიკანორმა თითო 500 მან., ხოლო ხარკოვის არქიეპისკოპოსმა 100 მან.

* * მიწების გაყიდვა კლესებზე შედგათაინის პირობებით. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოხსენების თანხმად, უმაღლესად დამტკიცებული იქმნა დადგენისა, ბათუმისა, ყარსისა, სოხუმისა და ზაქათალის ოლქში მდებარე იმ მიწების სია,



რომელებს შეღავათიანის პირობით გლეხებს მიჰყი-
დიან. ამ მამულის მყიდველთ ბაჟები და სხვა გადა-
სახადები არ გადახდებოდა.

* * * მთავრობის მამასახლისთა ინსტიტუტების გა-
უქმება. უმაღლესმა მთავრობამ შესაძლებლად იცნო
მთავრობის მამასახლისთა ინსტიტუტი გაუქმებულ
იქმნეს გორის მაზრის შემდეგ სასოფლო საზოგა-
დოებაში: კარაღეთისა, ტყვივისა, ფლავისა და
ფლავისმანისაში. მცხოვრებთ დღეიდან უფლება
ეძლევათ მამასახლისის თვით აირჩიონ.

* * * სამტრედია—ხონის გზის შეკეთება. კავკა-
სიის უმაღლესმა მთავრობამ დაამტკიცა ნაიმესტნი-
კის საბჭოს დადგენილება, რომელითაც № 200 მან-
ეთი უნდა გადადიდოს სამტრედია—ხონის გზა-
ტკეცილის შესაკეთებლად.

* * * მთავრობის მამასახლისები გურიაში. კავკასი-
ის უმაღლეს მთავრობის მამასახლისებს და ხუთ-ხუ-
თი ჩათარი მათთან დაინიშნა გურიის შემდეგს სა-
სოფლო საზოგადოებაში: ამაღლებისა, ბახვისა, ას-
კანისა და ლანჩხუთისაში. სოფლებისაგან ეძლევა
თითო მამასახლისს—75 მან. თვეში, ხოლო ჩათარს
—35 მან.

* * * ჩვენ შიგნით ახლად გამოცემული საეკლესიო
ტიბაგონი მდგდის რაყდენ ხუნდაძისაგან. მეორე გა-
მოცემა შესდგება 270 გვერდისაგან. კარგად არის და-
ბეჭდილი და დიანს მანეთად. ამ მეორე გამოცემაში
ბევრი რამ არის დამატებული. დიდად საჭიროებდა
ამ წიგნს ჩვენი სამეფოელება და ესეა ეგებლას შეუძ-
ლია დაიბაროს გამოცემისაგან.

* * * საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო
საზოგადოებაში. როგორც ვაღმოგვეცეს, ამ ორიოდ
დღეში მოხდება საქართველოს საისტორიო და
საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი
კრება, რომელზედაც ს. რ. გორგაძე წაიკითხავს
რეფერატს: „ნიკოლოზ მარტი და მისი სამეცნიერო
მოღვაწეობა“. დრო კრებისა და გეგმა რეფერატისა
თავის დროზე იქნება გამოცხადებული.

* * * სომეხ გრიგორიანთ სარწმუნოებაში გადასვლა
ალ. ტფილისის მცხოვრებნი ნ. გ. კალატოზიშვი-
ლის ასული 25 წლისა და ა. მ. ქურდიანის ასული
22 წლ. ტომით ქართველი და მრთმადიდებელ სა-
რწმუნოებისა თხოულობენ, რომ მათ ნება დართონ
სომეხ გრიგორიანთ სარწმუნოებაში გადავიდნენ,
რადგანაც სომეხებზე თხოვდები ნ.

✓ * * * ქართველ მომღერალთა ახალი ჯგუფი. რო-
გორც ამბობენ, თფილისში შესდგა პატარა წრე
ახალგაზდა მომღერლებისა, რომელთაც აზრად
აქვს შეისწავლოს ქართული ეროვნული სიმღერები
და ეკლესიური გალობა ბ. ნ. მიხეილ კავსაძის
ლოტბარობით, შეიძინოს აგრედვე ეროვნული
ტანთსაცმელი (ქულაჯები და გლეხური) და შემ-
დეგ შეუერთდეს ახლად დაარსებულ „სანთური“-ს
საზოგადოებას. იმედია. ამ პატარა სიმპატიურ საქ-
მეს, აქედანვე ხელს შეუწყობენ, როგორც „სან-
თური“-ს საზოგადოება ისე სხვებიც.

* * * ზეტერზურგი. ოფიციალური. შინაგან საქ-
მეთა მინისტრის მიერ უქვეშევრდომილეს მოხსენე-
ბაზე ტოლსტოის ვარდაცვალებისა გამო: მისმა
უდიდებულესობამ წააწერა „გულიდად ვწუხვარ
ვარდაცვალებას დიდებულ მწერლისას. რომელმაც
თავის ნიჭის აყვავილების ხანაში რუსეთის სახე-
ლოვან წლების ცხოვრებიდან მშობლიური ტიპები
შეჰქმნა. უფალი ღმერთი მოწყალე მსაჯულად მო-
ველინოს“.

✓ * * * უწ. სინოდის განკარგულება ტფილისის გა-
რდაცვალების გამო. საქართველოს ექსარხოსს უწ.
სინოდის წევრმა მიტროპოლიტმა ანტონიმ დებე-
შით აცნობა, რომ სინოდმა აღკრძალა პანაშვიდე-
ბის გადახდა ლევ ტოლსტოის სულის მოსახსენე-
ბლად. (სახალხო ვახუთი)

* * * მეორეთ აღიძრა კითხვა, რომ სამღვდლო-
ებას მიცემოდა უფლება მესამე კლასის ბილეთით
მეორე კლასის ვაგონით მოგზაურობისა რკინის
გზაზე. მაგრამ „სამწუხაროდ“ ზოგიერთი პირების
წყალობით, რომელნიც სასულიერო წოდებას
კარგის თვლით არ უყურებენ კიდევ არ გავიდა.
მიზეზი? მიზეზათ ის მოიყვანეს, რომ მღვდლები
ხალხთან უნდა იყონო. მართა მღვდლები კი არა
ყოველი მოსამსახურე კაცი ხალხთან უნდა იყოს,
მაგრამ ზოგიერთი ბატონები სრულებით მუქთად
დაბრძანდებიან და თავის ძაღლებიც მეორე და
პირველი კლასის ვაგონებით დაყავსთ.

* * * როგორც ვახუთები გვატყობინებს მანჯუ-
რიაში უამრავი გაჩენილა. სამ დღეში უნახავთ ჩინე-
ლების ოცი მკვდარი. კარანტინებში არის სამი
ათას ხუთასი კაცი.



ზ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი .

ი ს ყ ი დ ე ბ ი ა ნ

დვანოზი დავით დავაზიძისაგან შედგენილი და გამოსემაული წიგნები:

თბილისში, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების და სოსიკო მერკვილაძის წიგნის მალაზიებში, უვირილაში—«მწყემსი»-ს რედაქციაში.

1. საეკლესიო ღვთის-მსახურების წიგნები

1. ლოცვანი ნახატებიანი, გამოცემა მესამე. მართლ-მადიდებელი ეკლ. უქთავერესი ღღესასწაულების ისტორიული მოთხრობით. ამ ლოცვანში არის მთელი წლის ტროპარ-კონდაკები, სერობა, პარაკლისი ღვთის-მშობლისა და ზიარების ლოცვა. აგრეთვე ამ ლოცვნის სრულს თევთა მეტყველებაში არიან ჩართულნი საქართვ. წმინდანები მათი ისტორიული მოთხრობით და ტროპარ-კონდაკებით. ფ. ყლით 25 კ. და უყლოთ . . . 20 კ.
2. წესი სნეულის ზიარებისა და ვრცელი პანაშვილისა, ფასი . . . 10 კ.
3. სოცხალთა და გარდაცვალებულთა მოსახსენებელი კონდაკი (კარგის ყლით) ფ. . 20 —
4. ძონდაკი იოანე ოქროპირის წირვისა უყლოთ 30 კ. კარგი ყლით . . . 50 >
5. შემოკლებული ლოცვანი ანბანით და თორმეტი საუფლო ღღეების ტროპარ-კონდაკებით ფ. . . 5 >
6. საქართველოს ეკლესიის წმინდანები რუს. 5 „

2. სასწავლო და სახელმძღვანელო წიგნები.

1. დარიგება საღმრთო სჯულის სწავლებაზე, პირველი ნაწილი უყლოთ 25 კ. ყლით 30 კ. მეორე ნაწილი უყლოთ 25 კ. ყლით 30 მესამე ნაწილი . . . 20 კ. „ 25

პირველი და მეორე ნაწილი ერთად ყლით 60 გინც საღმრთო სჯულის სასწავლო წიგნებს დაიბარებს თვითონ გამომცემლისაგან ორ ნაწილს ყლით და მესამე ნაწილს უყლოთ მიიღებს ათ შაურად. 50 კ.

2. დაწვებითი გაკვეთილები საღმრთო სჯულის სწავლებაზე, ფასი . . . 15—
3. ახალი სასულიერო კონსისტორიათა წესდება 30
5. მღვდელთათვის საიდუმლოების შესრულების დროს საჭირო სახელმძღვანელო წიკნი— 20 სახელმძღვანელო ძველი და ახალი აღთქმის წიგნთა შესასწავლად . . . 30

3. სამკურნალო წიგნები და დარიგება ჯანძრთელობის დაცვაზე.

1. ახალი კარაბადანი, მეორე გამოცემა დამატებით, რომელიც განხილული, მოწონებული და ნება-დართულია კავკასიის საექიმო რჩევისაგან ყლით ფასი . . . 1 მ. უყლოთ . . . 60 კ.
2. დარიგება მხედველობის დაცვასა და თვალების მოვლაზე, ფასი . . . 10—
3. ჯანმრთელობა და ავადმყოფობა . . . 5 კ.

4. შესანიშნავი მონასტრები და ეკლესიები და ამ მონასტრების აღმაშენებელთა ცხოვრების აღწერილობანი,

1. მცხეთის ტაძარი და წმიდა ნინო, ქართ. განმანათლებელი, ფასი . . . 15 კ.
2. ბელათის მონასტერი და ცხოვრების აღწერილობა მეფის დავით აღმაშენებ. . 15 კ
- იგივე რუსულ ენაზე . . . 15 „
3. შიო მღვიმის მონასტერი . . . 5 კ.
4. მთავარ-მოწ. დავით და კონსტანტინე და მოწამეთის მონასტარი.—ფასი . 5 კ.
- იგივე რუსულ ენაზე . . . 10 კ.
5. მარძის მონასტერი, ფასი . . . 5 კ.
6. მარტვილის მონასტერი . . . 2 კ.



5. საუფლო და ღვთის-მშობლის დღესასწაულების აღწერა ზნეობრივ სწავლა დარჩებთ.

- 1. ღვთის-მშობლის დაბადება, სურათით . . . 2—
- 2. ტაძრად მიყვანება ღვთის-მშობლისა, ფ. . . 2—
- 3. ამალღება პატოხნისა და ცხველს-მყოფელისა ჯვარისა, სურათით . . . 2—
- 4. შობა უფლისა 2 კ.
- 5. მიჩქმა უფლისა, სურათით.—ფასი . . . 2—
- 6. ხარება ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლისა 2—
- 7. ბზობა სურათით—ფასი 2—
- 8. აღდგომა სურათით—ფასი 2—
- 9. მიძინება ყოვლად წმ. ღვთის-მშობლისა, 2—
- 10. ხელთუქნელი ხატის ისტორია 3 კ.

6. მოწამენი, ღირსნი მამანი და დედანი საქართველოს ეკლესიისა, შესანიშნავი საქართველოს მეფენი და დედოფალნი:

- 1. წმიდა მოწამე რაქდენი, სურათით, ფასი . . . 3 კ.
- 2. წმ. ნინო ქართველთ განმანათლებელი . . . 2—
- 3. მეფე ღვით მესამე აღმაშენებელი 5—
- 4. თამარ მეფე, სურათით 5—
- 5. გიორგი მთაწმიდელი 10—
- 6. იოანე ზედაზნელი 5—
- 7. შუშანიკა 2—
- 8. ქეთევან დედოფალი 2—
- 9. არჩილ და ლუარსაბი 5—
- 10. წმიდა ნინო რუსულად 8—

7. რელიგიური და ზნეობრივი შინაარსის წიგნები და საუბრები:

- 1. წმიდანი ალვალ-მთავარანი: ბასილი დიდი, გრიგორი ღვთის-მეტყველი და იოანე მოქაშაძე, სურათებით—ფასი . . . 5—
- 2. როგორ უნდა ვმარხულობდეთ—ფასი . . . 2—
- 4. ანდრია პირველწოდებული, ისტორიული პოემა აკაკისა, ფასი 5—

5. სიკვდილი მართლისა, კონსტანტინოპოლი.

- ტას მუშლის წერილი 5—
- 6 ხმა მოძღვრისა ს.მწყოსოსადმი. საუბარი შესწავლა იესო ქრისტესი 3—
- 7 შეილების ჰოვალეობა მშობელთადმი . . . 3—
- 8 მშობლების მოვალეობა შეილთადმი . . . 3—
- 9 ეინ არიან ჩენი ცხოვრების მტერი და როგორ უნდა ვსძლიოთ მათ 3—
- 10 იუნჯებდით საუნჯესა ცათაშინა 3—
- 11 წმიდა ნინო ქართულთ განმ. გამოცემა 3-ე . . . 2
- 14 საუბარი ღმერთზე 5
- 15 ჩვენ ობლები არავართ 5
- 16 დიდი მწყემსი, მოთხრობა, წმიდა იოანე ოქროპირის დროიდან 10
- 17 აღსარების წინ 2
- 18 სხვა და სხვა მოთხრობანი 5
- 11 საუბარი ღვთის სიტყვაზე 3—
- 12 — შრომაზე 3—
- 13. სამგვარი სიკვდილი 5 »

8. მოთხრობანი დაბადებიდან.

- 1. მეფე სოლომონ-ბრძენი სურათით—ფ. . . 5—
- 2. მათერი (მოთხრობა დაბადებიდან) სურ. . . 5—
- 3. სიბრძენი იოანისა ზარაქისა, სურათით. . . 5—
- 4. იოსები 5—
- 5. მრავალ წამებული იობი 5 კ

1. მხატვრობანი სას. და საერო მოღვაწეთ

- 1. შოთა რუსთაველი. 25 კ
 - 3. თამარ მეფე 25 კ.
- იმეკონება აგრეთვე შესავალ-გასავალის წიგნები და ყოველგვარი მოწმ. ბლანკები და ამოწერილობანი

სატები და მხატვრობანი.

იმეკონებიან პატარა იაფ-ფასიანი-ხატები ფიკარზე სამ-ოთხ გოჯიანი ფასი 5—10 კ. ხატები არის მაცხოვრის, ივერის ღვთ-ს-მშობლის, წმიდა გიორგის, ანდრია მოციქულის, პირველ წოდებულისა და



ათორმეტთა დღესასწაულთა. ვინც დაიბარებს ხა
ტებს არა ნაკლებ ოცისა, იმათ ჩვენს საქართლო-
ში ყველგან ფოსტის გასაგზავნი არ გარდახდება
ამასთან იმექონება სქელ ქალღმებ ნახატი წმიდა
ნინასი, საქართველოს განმანათლებელისა ვარაყით
ნ+7 გოჯიანი ფაა 15 კ. ფოტო-ტიპით დახატუ-
ლა წმიდანი მთაწარ-მოწამენი დავით და კონსტან-
ტინე ნ+5 გოჯიანი ფასი 5 კ. ამავე ზომისა და
ამისთანავე სახით წმიდა ნინო ქართველთა განმანათ-
ლებელისა და დავით აღმაშენებელისა ფ. თითოსი 5 კ.

ვინც ზემო აღნიშნულ წიგნებს გამოიწერს არ
ნაკლებ ერთი თუქნისა, მ.ს მანეთზე დაეთიბა 30
კ. ვინც ორ კავიკიან წიგნაკებს დაიბარებს არა ნაკლე-
ასი ცალისა, ის ფოსტით გასაგზავნს არ იხდის.

იმექონება აგრეთვე მრავალი პატარა გულ საქ დი
ხატები ფერგადუვალი ლათონისა, სახელდობრ: ნი-
ნოსი, დავით და კონსტანტინესა, დაკით აღმაშენე-
ბლისა, თამარისა, ანდრია პირველ წოდებულისა და
წმიდა გიორგისა, ფასი თითოსი 5 კ.

ვინც ასს დაიბარებს ნაღდ ფულზე, მას
გაგზავნით დაეთიბა სამ მან.

ესეთი იმექონებიან ვერცხლიაც, ფასი 40 კ.
ისყიდება საეკლესიო ღვთისმსახურების ზო-
გიერთი რუსული წიგნებიც კონდაკი, მოკლე ეპანი,
დავითნი და მოღებნის წიგნები. იმექონება აგრე-
თვე სახარება კარგ ყდაში რუსულ და ქართულ
ენაზე დაბეჭდილი, პატარა ტანისა. ფასი 20 კ.

იაკობ ვოგებაშვილის წიგნები:

დედა-ენა, მეჩვიდმეტე გამოცემა, 278 ათასი.
წიგნი სახელ-გაკეთებულია (рекомендована) სამინი-
ტოსაგან მოწონებულია და სინოდისაგან. ფასი;
ყლით ორი აბაზი.

ბუნების-კარი. მეთორმეტე გამოცემა, 62 ათასი,
სახელ-გაკეთებულია (рекомендована) სმინისტრო-
საგან, როგორც „მშვენიერი სახელმძღვანელო“,
და მოწონებულია სინოდისაგან. ფასი ყლით ოთხი
აბაზი.

კოკორი, მეთორმეტე გამოცემა, 60 ათასი. მო-

წონებულია სამინისტროსა და სინოდისაგან. ფას-
ორი აბაზი.

„ომლი, ანუ რჩეთლთა ლექსთა კრებული,
მეორე გამოცემა, 2,400 ცალი. მოწონებულია.
ორივე უწყებისაგან. ფასი ექვსეი შაური.

კუნწულა, ანუ კრებული რჩეულის მოთხრო
ბებისა ევროპისა და რუსეთის მწერლებისა, 1,200
ცალი. მოწონებულია სამინისტროსა და სინოდის-
ს.გან. ფასი ორი აბაზი.

იაგნასამ რა ჭქმნა? მოთხრობა, ცხრა სურათით
გამოცემა მესამე, 7.200 ცალი. ფასი ხრთი შაური
ხატის მიზეზი, მოთხრობა, 1,200 ცალი. ფა-
სი ერთი შაური.

თავდადებულნი ქართველნი, მეარე სურათები-
ნი გამოცემა, 8,600 ცალი. ფასი 7 კაპ.

მოსაგადის მტველნი, ანუ სასარგებლო ცხოვე-
ლები და ფრინველები სურათებიანი გამოცემა,
2, 400 ცალი. ფასი ერთი აბაზი.

ერკლე მეფე და ინგილო ქალი, ისტორიული
მოთხრობა, 6,000 ცალი, ორი სურათით. ფასი
ერთი შაური.

სხვისი წარსულისა, ისტორიული ამბავი, 2,400
ცალი. ფასი ერთი შაური.

საარაკო თავგადასავალი, 1,200 ცალი. ფასი ორი
შაური.

ძირითადი უკუღმართობა, 1,200 ცალი. ფასი
ერთი აბაზი.

აკადო, ანუ კრებულის აყმაწვილო და სახალ-
ხო მთხრობათა, გამოცემა წიგნების გამოცემე-
ლის ქუთათურის ამხანაგობისა. ფასი სამი შაური

„დედა-ენის“, „ბუნების-კარის“, „პოკორისა“,
„ბკიდოსი“ და „Русское Слово“-ს გარდა ყველა.
ჩხვა აქ ჩმმოთვლილი წიგნები რიცხვით თექვსმეტი
ავტორის შეწირული აქვს წერა-კითხვის საზოგადო
ებისთვის.

ყოყრნალ „მწევესი“-ს სტამბა

იღებს ყოველ გვარ საბეჭდავ ზაკაზებს. სტამბა ას-
რულებს სამუშაოს სუფთად და დროზე, ძლიერ
დაკლებულ ფასებში.

სტამბა იმყოფებ დაბა ყვირილაში ლამბაშიძის საკუთარ
სახლბში.

Отъ Отдѣла Воздушнаго Флота **ВЫСОЧАЙШЕ** учрежденнаго Особаго Комитета по усиленію военнаго флота на добровольныя пожертвованія.

Съ соизволенія ГОСУДАРЯ ИМПЕРАТОРА, Комитетъ по усиленію военнаго флота на добровольныя пожертвованія вновь приступилъ къ сбору пожертвованій— въ настоящее время, согласно волѣ жертвователей, на воздушный флотъ.

Комитетъ надѣется, что всѣ, кому дорога военная мощь Россіи, понесутъ свои копейки и рубли на дѣло созданія воздушнаго флота, которому въ будущей войнѣ суждено рѣшить исходъ борьбы.

Воздушный флотъ, создаваемый Комитетомъ, въ мирное время будетъ оставаться собственностью жертвователей; Комитетъ подготавливаетъ личный составъ, и только во время войны этотъ воздушный флотъ будетъ переходить въ распоряженіе военнаго или морского вѣдомства.

На созданіе воздушнаго флота Комитетомъ, согласно волѣ жертвователей, обращенъ весь остатокъ отъ прежнихъ пожертвованій въ суммѣ около 900.000 р. Вновь пожертвованій поступило—33.000 рублей.

Комитетъ приложитъ всѣ усилія къ тому, чтобы каждая копейка была бы использована наилучшимъ образомъ.

Комитетъ всѣми силами будетъ стараться, обзаведясь теперь же наилучшими образцами заграницей, дальнѣйшую постройку флота производить въ Россіи.

Въ настоящее время Комитетомъ уже заказаны 9 аэроплановъ слѣдующихъ системъ: Антуанеттъ (1) Блерію (2) Зоммеръ (2) Теллье (1) и Фарманъ (3); личный составъ (6 офицеровъ иб нижнихъ чиновъ) обучается на заводахъ, гдѣ заказаны аппараты.

Добровольныя пожертвованія принимаются въ С.-Петербургѣ, въ Управленіи Дѣлами Почотнаго Предсѣдателя Комитета Великаго Князя МИХАИЛА АЛЕКСАНДРОВИЧА. (Галерея 38), въ Конторѣ Двора Предсѣдателя Комитета Великаго Князя АЛЕКСАНДРА МИХАИЛОВИЧА (Офицерская 35), въ Конторахъ и Отдѣлеіяхъ Государственнаго Банка, Козначействахъ, во всѣхъ Государственныхъ Сберегательныхъ Кассахъ, въ Волко-Камскомъ Коммерческомъ Банкѣ и его отдѣленіяхъ, въ Москов. Купеческомъ Банкѣ и его Конторахъ, въ Конторахъ газетъ „Новое Время“ (СПБ. Невскій 40), и „Русское Слово“ (Москва, Тверская 48).

Въ цѣляхъ упрощенія взноса пожертвованій и пересылки ихъ въ Кассу Комитета въ С.-Петербургѣ, Комитетъ имѣетъ въ С.-Петербургской Конторѣ Государственнаго Банка условный текущій счетъ № 34359 и кромѣ того, основываясь на практикѣ истекшей шестилѣтней дѣятельности своей, разсылаетъ квитачіонныя книжки во всѣ учрежденія правительственныя, воинскія, сословныя и общественныя которыя пожелаютъ оказать содѣйствіе на мѣстахъ этому народному дѣлу.

Защищать родину отъ нападенія враговъ жизнью, дѣломъ или средствами есть священное право каждаго вѣрнаго ея сына, богатаго и бѣднаго, сильнаго и слабого, Комитетъ, обращаясь ко всѣмъ жителямъ необъятной Россіи, безъ различія вѣры, званія и пола, проситъ принести посильную жертву на воздушный флотъ Россіи, на защиту славы и могущества Отечества.

Дозволено цензурою 2 Декабря 1910 года г. Кутаисъ

რედაქციის-გამოლო დეკ. 2. ღამბაშიძე,